ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 171 (20917) — ხუთშაბათი, 26 ივლისი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

საიჯარო საფუძვლებზე

ზუსტად ნახევარი წელია მეურნეობრიობის ახალ პირობებში შრომობს სოხუმის ქიმიური ქარხნის კოლექტივი, რომელმაც საწარმო იჯარით აიღო. მაინც რა მისცა მან მუშებსა და მოსამსახურეებს, როგორი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე?

მოიჯარეთა საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გოგია აღნიშნავს: უნინარეს ყოვლისა გაიზარდა თითოეულის პასუხისმგებლობა საქმის საერო წარმატებისათვის, მოგვეცა შესაძლებლობა დამოუკიდებლად გამოვიყენოთ მოგება, გაიზარდა ხელფასი.

ახლა სოხუმელები საცალო ფასებით წელიწადში უშვებენ 29,5 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელს. ნაწარმი დიდი მოთხოვნით სარგებლობს. ეს არის ხეთის საღებავები და მინანქარი, პოლიეთილენის პაკეტები საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, დეზადორანტები, პაერის გამაგრილებლები, შამპუნი, დეკორატიული ლარნაკები, ხელსახოცები და სხვა. აქ აითვისეს 20-ლიტრიანი კანისტრების, ბავშვის სათამაშოებისა და სხვა ნაწარმის გამოშვება. სურათზე აღბეჭდილია სოხუმის ქიმიური ქარხნის მუშაკი ლეილა კვინინია ახალი საქონლის ნიმუშებით.

ბორის სოკოლოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი

24 ივლისს კრემლში გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე სსრ კავშირის პრეზიდენტმა მ. ს. გორბაჩოვმა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ვიშვანათ პრატაპ სინგჰმა განიხილეს ფართო წრის საერთაშორისო და ორმხრივი პრობლემები მსოფლიო განვითარების ახალი ეტაპისა და საკუთარ ქვეყნებში მიმდინარე ღრმა ცვლილებების კონტექსტით.

მ. ს. გორბაჩოვმა ეს ვიზიტი შეაფასა როგორც მემკვიდრეობითობის და ნდობის აქტი, მათ შორის — პირადი თვალსაზრისით, რომელსაც შეუძლია წყნ წასწიოს სსრ კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა და დამატებითი დინამიზმი მიანიჭოს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ფაქტორს მსოფლიო პოლიტიკაში.

თანამოსაუბრეები შეეხნენ მსოფლიო პოლიტიკის საკვანძო კაპიტალებს. მათ ხაზი გაუსვეს საბჭოთა კავშირ-ამერიკისა და ინდოეთ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების როლს, აღნიშნეს, რომ მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ევროპაში მიმდინარე ღრმა ცვლილებებს, მრავლისმომცველ პროგრესს სსრ კავშირისა და ჩინეთის, ინდოეთისა და ჩინეთის ურთიერთობაში.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა ინდოეთის კონსტრუქციული როლი მიუმხრობლობის მოძრაობაში, თავის მეზობლებთან ურთიერთობის ნორმალიზაციაში მისი წვლილის საერთაშორისო მნიშვნელობა.

პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა დათქვეს გადაუდებლად დაიწყონ სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის ფართო მასშტაბის ეკონომიკური ხელშეკრულების მომზადება.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1991 წელს სრულდება მშვიდობის, შეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების 20 წლისთავი, მ. ს. გორბაჩოვმა და ვ. პ. სინგჰმა მზარი დაუჭირეს მის განხორციელებას, გამოთქვეს სურვილი ამ თარიღს დაუკავშირონ შესაბამისი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ინიციატივები. წინასწარი წესით დათქვეს, რომ ეკონომიკური ხელშეკრულების დადება და არსებული ხელშეკრულების განხორციელება შეიძლება დაუკავშირონ ინდოეთში მ. ს. გორბაჩოვის შორიგ ვიზიტს.

* * *

რაბინდრანათ თაგორის ნაწარმოებებმა საბჭოთა ადამიანებს გადაუშალა ინდოეთის გული, ისევე როგორც პუშკინისა და ტოლსტოის ნაწარმოებებმა ინდოელებს გადაუშალეს რუსეთის გული. დიდი ინდოელის ქმნილებათა მეოხებით ჩვენ ვგრძნობთ, რომ მის თანამემამულეთა გულში ცოცხლობს მისწრაფება სილამაზის, ჰარმონიისა და სამართლიანობისადმი. თაგორი ახლობელია და მუდამ ახლობელი იქნება ჩვენთვის, რადგან ეს მისწრაფებანი საფუძვლად უძევს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. მოსკოვის შეგობრობის პარკში რაბინდრანათ თაგორის ძეგლის საზეიმო გახსნისას მადლობა მოახსენეს ინდოელ ხალხს საბჭოთა დედაქალაქისადმი, ინდოეთის დიდი შვილის ნიჭის ყველა თაყვანისცემლისადმი შესანიშნავი საჩუქრისათვის. ცერემონიაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი და ვ. პ. სინგჰი.

* * *

იმავე დღეს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინდოეთის პრემიერ-მინისტრს გადასცეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომი და მედალი. მას ეს წოდება მიენიჭა მეცნიერებისა და ლიტერატურის დარგში შეტანილი უთვალსაჩინოესი წვლილისათვის.

* * *

პრემიერ-მინისტრმა პატივი სცა მაპათმა განდისა და ინდირა განდის ხსოვნას, ყვავილებით შეამკო ინდოეთის ამ გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების მონუმენტები. ინდოეთის მთავრობის მეთაურმა ყვავილებით შეამკო მემორიალური დაფა, რომელიც დადგმულია ჯავაჰარლალ ნეჰრუს — დამოუკიდებელი ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად.

* * *

25 ივლისს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ვიშვანათ პრატაპ სინგჰი მოსკოვიდან ტაშკენტს ჩაემგზავრა. იგი საბჭოთა კავშირში ოფიციალურ შეგობრულ ვიზიტად იყო საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით.

კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში გაიმართა ინდოელი სტუმრის გაცილების ოფიციალური ცერემონია.

ვ. პ. სინგჰსა და მის მეუღლეს გულთბილად გამოეთხოვნენ სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. ს. გორბაჩოვი და მისი მეუღლე.

კრემლიდან ავტომანქანების კორტეჟი მოტოციკლისტთა ესკორტის თანხლებით აეროპორტში გაემართა.

* * *

ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო. დროშებით მორთულ აეროპორტში ინდოეთის მთავრობის მეთაური და მისი მეუღლე გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვმა და მისმა მეუღლემ, სხვა ოფიციალურმა პირებმა (სატასი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის გრანდიოზული

საბჭოთა კავშირის საგარეო-ეკონომიკურ პრაქტიკაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

ივლის გამო, რომ გადავდივართ საბაზრო ეკონომიკაზე, ვადგავართ მსოფლიო-სამეურნეო კავშირურთიერთობაში კარგახსნილობისა და უფრო ფართო მონაწილეობის კურსს, აგრეთვე რეალურად ვითვალისწინებ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში, მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს, **ვადგენ:**

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უზრუნველყოს 1991 წლის 1 იანვრიდან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სხვა წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით მსოფლიო ფასებით ანგარიშსწორებაზე გადასვლა. შეიტანოს ასეთი გადასვლის სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის საჭირო კანონებისა და სხვა აქტების პროექტები სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში.

2. განვითარებად ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა განხორციელებას საფუძვლად დაედოს ურთიერთსარგებლიანობისა და ორმხრივი ინტერესების პრინციპები, ამასთან ვიხელმძღვანელოთ საერთაშორისო ნორმებითა და პრაქტიკით. სახელმძღვანელოდ იქნეს მიღებული, რომ ეკონომიკური დახმარება უნდა ხორციელდებოდეს ჩვენი ქვეყნის რეალურ შესაძლებლობათა შესაბამისად.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მაქსიმალურად გამოიყენონ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფორმები და უზრუნველყონ იმ პირობების შექმნა, რომ საწარმოები და მათი გაერთიანებები ფართოდ მონაწილეობდნენ საგარეო კავშირურთიერთობაში, რათა გაზარდონ ექსპორტის პოტენციალი და გაადიდონ ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ეფექტიანობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 24 ივლისი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის გრანდიოზული

სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის შესახებ

ბოლო ხანს ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში ადგილობრივ ხელისუფალთა წაყრუებით იქმნება შეიარაღებული ფორმირებანი, რომლებიც არ შედიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო, შინაგანი, სარკინიგზო ჯარებისა და სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გასამხედროებულ ფორმირებათა შემადგენლობაში. ეს პროვოკაციულად იწვევს დაძაბულობას, ვითარების დესტაბილიზაციას, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს. ასეთ მოქმედებას თან სდევს იარაღის ხელში ჩაგდება, თავდასხმები სამხედრო მოსამსახურეებსა და მილიციის მუშაკებზე, სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო ობიექტზე, უკავშირდება სხვა მძიმე დანაშაულობათა ჩადენას, იწვევს მსხვერპლს სრულიად უდანაშაულო მოქალაქეთა შორის. არცთუ იშვიათად ამ ფორმირებებში იზიდავენ სისხლისსამართლებრივ ელემენტებს და პირებს, რომლებიც თავს არიდებენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევას ან დეზერტირობენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან.

იარაღის და ტყვია-წამლის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, საბრძოლო ტექნიკის და სხვა სამხედრო ქონების ხელში ჩაგდებასა და მათი შეძენის სხვა მართლსაწინააღმდეგო ხერხებს ხელს უწყობს უპასუხისმგებლობა და ჯეროვანი წესრიგის უქონლობა მათი დაცვა-შენახვის ორგანიზაციაში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელ რიგ ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში, სხვა სამინისტროთა და უწყებათა ორგანიზაციებში; იარაღის უკანონოდ დამზადება საწარმოებში, შეიარაღებულ ფორმირებათა დაფინანსება, მათთვის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა მიცემა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლისა და „სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნა განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის გამგებლობას მისი საბჭოსფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით. სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების ყოველგვარი მოქმედება ასეთ ფორმირებათა შეიქმნელად, მათი მიზნების მიუხედავად, უკანონოა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 127 (3) მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე **ვადგენ:**

1. სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი შეიარაღებული ფორმირებანი (შეიარაღებული გაერთიანებები, რაზმები, რაზმეულები, ქვეგანაყოფები და სხვა ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფები), რომლებიც გათვალისწინებული არ არიან სსრ კავშირის კანონმდებლობით, უკანონოა და უნდა დაიშალოს 15 დღის ვადაში ამ ბრძანებულების გამოქვეყნების მომენტიდან.

ამავე ვადაში ამ ფორმირებათა იარაღი, ტყვია-წამალი, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, საბრძოლო ტექნიკა და სხვა სამხედრო ქონება უნდა ჩაბარდეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს.

ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევებში ხელისუფლების რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა, მათმა საუწყებო შინაგან საქმეთა ორგანოებმა, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა უნდა უზრუნველყონ ასეთი იარაღის, ტყვია-წამლის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, ტექნიკისა და სხვა სამხედრო ქონების ჩამორთმევა; სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს შესაბამისმა ქვეგანაყოფებმა უნდა ჩაიბარონ ასინი შესანახად.

თუ აღნიშნულ შეიარაღებულ ფორმირებათა მოქმედება საფრთხეს უქმნის მოსახლეობისა და სახელმწიფოს უშიშროებას, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება აქვს გამოიყენოს შინაგანი ჯარები, ხოლო ცალკეულ ოპერაციებში ნებადართულია სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ქვეგანაყოფების მონაწილეობა.

2. ნებისმიერი ორგანოებისა და ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებას, რომელთა მიზანია ადრე შექმნილი შეიარაღებული ფორმირებების შენარჩუნება ან ახალთა შექმნა, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სსრ კავშირის კანონმდებლობით, არა აქვს იურიდიული ძალა და იწვევს პასუხისმგებლობას კანონის შესაბამისად.

3. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სსრ კავშირის პროკურატურამ ოპერატიულად უნდა გადაწყვიტონ ის საკითხები, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცენენ უკანონო ფორმირებათა მონაწილენი, რომლებმაც ნებაყოფლობით არ ჩააბარეს არსებული იარაღი, იარაღის, საბრძოლო მასალებისა თუ ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო ტარების, შენახვის, შეძენის, დამზადების ან გასაღებისათვის.

სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებმა ამ საკითხებს უნდა დაუწესონ პირადი კონტროლი.

4. ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, ორგანიზაციებმა, რომლებსაც აქვთ ან ამზადებენ იარაღს, დაუყოვნებლივ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავს იარაღის, ტყვია-წამლის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, საბრძოლო ტექნიკისა და სხვა სამხედრო ქონების უკანონო დამზადებას, ჩამორთმევას, დაუდევარ შენახვასა და დაკარგვას.

ის პირნი, რომლებმაც დაუშვეს იარაღის დაკარგვა ან გაყიდვა, პასუხისგებში უნდა მიეცნენ კანონის შესაბამისად.

5. ამ ბრძანებულების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ პირადად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებს, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ამხ. ვ. ვ. ბაკატინს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ა. კრიუჩკოვს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს ამხ. დ. ტ. იაზოვს და მათს ადგილობრივ ორგანოებს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 25 ივლისი.

საგაზრო ეკონომიკა

ვინ არ იცის, რომ მკაცრი საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის განუხორციელებლად ხაბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შეუძლებელია. ახლა, როცა თანდათან სუსტდება ადმინისტრაციულ-მბრძანებლური შეთოდების ზეიმეობდება, საფინანსო და საკრედიტო ბერკეტები ეკონომიკური ცხოვრების რეგულირების, ბრუნვაში ფულის მასის დაუსახუოებელი ზრდის შეზღუდვის, ინფლაციური პროცესების მკვეთრი გაძლიერების თავიდან აცილების საიმედო ინსტრუმენტი ხდება.

ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის დღევანდელი მდგომარეობა, მისი შოშლა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნაკლია, რომელიც იურსებს საკმაოდ, ნათქვამია ხაბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთავრობისეულ კონცეფციაში. ეთანრების ჯანსაღობისათვის უნდა შეშცირდეს სხვაობა სახელმწიფოს შემოსავალსა და გასავალს შორის, რომელიც წინა ხან ხუთწლეულად განუწყვეტლივ იზრდებოდა. ეს მართალია, მაგრამ სწორია ისიც, რომ მარტოოდენ ხარჯების ოდენობისა და შემოსავლის გაზრდის დავალებებზე დაყრდნობით, საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობის ღრმა რეფორმის

მაშ ასე, რეგულირებად ხაბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მკაცრ საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკას უკავშირდება. როგორია დღეს საქართველოს ეკონომიკის ფინანსური მდგომარეობა? წლის პირველი ნახევრის შედეგები ამ მხრივ აგვისტოს პირველ დეკადაში შეჯამდება, ამჟამად კი ხელთა გვაქვს ხუთი თვის მონაცემები.

ამ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილის გეგმები მთლიანად ვერ შესრულდა, თუმცა, ბრუნვის გადასახადიდან ბიუჯეტში გათვალისწინებულზე 6,3 მილიონი მანეთით მეტი შემოვიდა.

ცხადია, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მთავარი ფაქტორი მოგების ზრდაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერჯერობით სანუგეშოს ვერაფერს ვიტყვით. საქმე ის არის, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა საანგარიშო პერიოდში ნავარაუდევზე 55,9 მილიონი მანეთით, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით კი 85,8 მილიონი მანეთით ნაკლები მოგება. თვითონ განსაჯეთ, როგორი სიტუაციაა შექმნილი, თუ მოგების დავალებას 234 სამრეწველო საწარმომ და ორგანიზაციამ ვერ გაართვა თავი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შარშან ამ პერიოდში მოგების გეგმა ჩაშალა მნიშვნელოვნად ნაკლებმა — 136 საწარმომ და ორგანიზაციამ. რომ იტყვიან, სოკოებივით მომრავლდა ზანგებიან საწარმოთა რიცხვი, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მათმა რაოდენობამ 18 ათეულ მოიმატა და ორმოცდაათს მიაღწია. სამრეწველო საწარმოებს, წლეულს, ეკონომიკური სანქციები წაუყენეს და მეტი ჯარიმა, საურავი და საუპირო გადახდევინეს, ვიდრე შარშან. გაუარესდა ამ მხრივ მდგომარეობა თბილისს „ელმავალმშენებელის“, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანებებში, რუსთავის მეტალურგიულ და ბათუმის ნავთობმდამშუშავებელ ქარხნებში, მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებში. აქვე დავძენთ, რომ ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის საწარმოებმა გამონახეს რთული სიტუაციიდან გამოსვლის გზები. მათ საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს მოგების გეგმები და შარშანდელთან შედარებით ეს მაჩვენებლები 24,3 მილიონი მანეთით, ანუ თოთხმეტ პროცენტზე მეტად გაზარდეს.

ეს კარგია, მაგრამ ასეთი ეპიზოდური წარმატებებით ფონს ვერ გავალთ. დღეს, როცა ჩვენი ეკონომიკა უმძიმეს კრიზისს განიცდის, ოდნავი შედარებითი მიღწევაც კი ყურადღების ცენტრში ექცევა. საჯაროობის პირობებში, გვეამება ეს თუ არა, გულახდილად უნდა ვილაპარაკოდ ყველა უარყოფით მოვლენაზე და ფაქტზე. ფაქტი კი ის არის, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ბანკის სესხებისა და საწარმოთა შორის ანგარიშსწორების მიზეზით შეუნელებლივ იზრდება ვადაგადაცილებული დავალიანების თანხა. ივნისის დამდეგისათვის ამ მაჩვენებელმა შეადგინა 3382,4 მილიონი მანეთი, რაც 15,7 პროცენტით აღემატება შარშან ამ დროს „მიღწეულ“ დონეს. განსაკუთრებით სწრაფად მატულობს მიმწოდებლების დავალიანება. სახაგრომრეწვის ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ, მაგალითად, დღეისათვის 1153,4 მილიონი მანეთი შეადგინა. ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სახმშენი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, სამომხმარებლო კოოპერაცია, ზოგიერთი სხვა სამინისტრო და უწყება. ამასთან, ვერც იმას აუვლით გვერდს, რომ ვადაგადაცილებული დავალიანების თანხა ბანკის სესხების მიხედვით მნიშვნელოვნად — 85,8 მილიონი მანეთით შემცირდა და ესეც დადებითი ფაქტია.

ბაზარი ვაჭრობაა, იგი გულისხმობს ვაჭრისა და მუშტრის დამოუკიდებლად გამონახვას, მათთვის საქონლის ურთიერთმისაღები პირობებით მიყიდვას. ზოგს კი ეს უმთავრესი მოძრეი ავიწყდება, კვლავ რაღაცის და ვიღაცის იმედი აქვს. ამას იმიტომ ოგახსენებთ, რომ სახაზრო ურთიერთობაზე გადასვლის წინ რესპუბლიკის ეკონომიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების დაჩქარების ტემპი თანდათან ნელდება. იმის მაგვარად, რომ გაგვეზარდა მსოფლიო ტექნიკური დონის შესაბამისი მანქანათმშენებლობის პროდუქცია, იგი წლის პირველ ნახევარში ცხრა პროცენტზე მეტად შემცირდა და მისმა ხვედრითმა წილმა სახალხო-სამეურნეო დანიშნულების უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის მთლიან მოცულობაში 66 პროცენტი შეადგინა.

მანქანათმშენებლობის კომპლექსის ბევრმა საწარმომ გააუარესა მუშაობა და ამიტომ დარგის სასავალნლო პროდუქციის მოცულობა 33,1 მილიონი მანეთით, ახალი პროდუქციის ათვისება 40,5 მილიონი მანეთით (2,6-ჯერ), ხოლო სახალხო-სამეურნეო უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის გამოშვება 3,5 მილიონი მანეთით შემცირდა. განსაკუთრებით მკვეთრად შეამცირეს სასაქონლო პროდუქციის წარმოება წლის პირველ ნახევარში „ელვასა“, „ელმავალმშენებელის“, „ავტომატმრეწვის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებმა, „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებამ, ახალქალაქის საბაგარო გზების, „ელექტროიზოლიტის“, „საკაბელის“ ქარხნებმა.

ჰოდა, ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებს ფინანსურ მდგომარეობაზე. საერთოდ, არ არსებობს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელსაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ კავშირი არ ჰქონდეს ფინანსურ სიტუაციასთან.

7-5 წლის წინ ვინ იცის რამდენ საწარმოს ხელმძღვანელს უთქვამს, დამოუკიდებლობა მოგვეცით და ჩვენ ვიცით, რასაც ვიზამთო. ეს დროც დგება. ისე კაცმა რომ თქვას, საბაზრო ურთიერთობა ქვეყანაში, და კერძოდ ჩვენს რესპუბლიკაში, ზოგიერთისათვის დიფუო კიდეც. ცოტანი, მაგრამ მაინც არიან სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებიც არცთუ ცუდად გაერკვნენ შექმნილ რთულ სიტუაციაში და კარგ შედეგსაც აღწევენ. ბევრი კი შეიძლება ძმიმე დღეში ჩავარდეს მხოლოდ იმის გამო, რომ კარგად არ ეცოდინება, რა უნდა ქნას, საიდან მიიღებს დამოუკიდებლობის, საბაზრო ურთიერთობის პირობებში ფონდებსა და ლიმიტებს. ზოგს კი ურჩევნია იოცნებოს კიდეც ძველებური ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების დაბრუნებაზე, მაგრამ ეს დღეს უტოპიაა.

გარდამავალი პერიოდის ყველაზე ძნელი ამოცანა ის არის, აღნიშნულია ზემოხსენებულ კონცეფციაში, რომ, როცა ასპარეზს ეუხსნით საბაზრო ურთიერთობას და თავისუფლებას ვანიჭებთ სამეურნეო საქმიანობას, არ უნდა დაუშვათ სერიოზული შეფერხებები წარმოებაში, მივაღწიოთ სახალხო მეურნეობის მატერიალურ შეწონასწორებას, სურსათსა და სხვა სამომხმარებლო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების თაობაზე და ეკონომიკაში მიმდინარე ზოგიერთ სხვა პროცესზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი „კომუნისტის“ ამასწინანდელ პუბლიკაციაში, ამიტომ, ამჯერად შევეხებით ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების კიდევ ერთ წყაროს — ფასიან მომსახურებას.

წლის პირველი ნახევრის გეგმას ამ მხრივ 1,8 მილიონი მანეთი დააკლდა. დანაკლისი მეტი იქნებოდა, მაგრამ იგი გადაიფარა იმით ხარჯზე, ვინც დავალებები გადაჭარბებით შეასრულა. საერთოდ კი, იმ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებმაც ვერ შეასრულეს გეგმები, მოსახლეობას ვერ გაუწიეს 17,4 მილიონი მანეთის მომსახურება, და ეს დიდი ციფრია. სახალხო გადასოლების სამინისტრომ, მაგალითად, მომსახურების გეგმის შესრულებას 1525 ათასი, ხოლო ახალგაზრდული საერთაშორისო ტურიზმის ბიუროომ „თანამგზავრმა“ 1239,2 ათასი მანეთი დააკლო. ასევე დიდი თანხა დააკლეს გეგმის, შესრულებას პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საბჭომ, ცეკავშირმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ზოგიერთმა სხვა სამინისტრომ, უწყებამ და ორგანიზაციამ.

ივლისიც იწურება. წლის მეორე ნახევრის დამთავრებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. წინ საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის რთული პერიოდი გველოდება. ალბათ, საჭიროა ძალების მაქსიმალური დაძაბვა, რათა გარკვეულწილად შეგიმსუბუქოთ გარდამავალი პერიოდი.

ზოთა ანაბუკელი.

თუ სხვაობას შევამცირებთ...

„ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანებებში, რუსთავის მეტალურგიულ და ბათუმის ნავთობმდამშუშავებელ ქარხნებში, მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებში. აქვე დავძენთ, რომ ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის საწარმოებმა გამონახეს რთული სიტუაციიდან გამოსვლის გზები. მათ საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს მოგების გეგმები და შარშანდელთან შედარებით ეს მაჩვენებლები 24,3 მილიონი მანეთით, ანუ თოთხმეტ პროცენტზე მეტად გაზარდეს.

ეს კარგია, მაგრამ ასეთი ეპიზოდური წარმატებებით ფონს ვერ გავალთ. დღეს, როცა ჩვენი ეკონომიკა უმძიმეს კრიზისს გადაეცა, ოდნავი შედარებითი მიღწევაც კი ყურადღების ცენტრში ექცევა. საჯაროობის პირობებში, გვეამება ეს თუ არა, გულახდილად უნდა ვილაპარაკოდ ყველა უარყოფით მოვლენაზე და ფაქტზე. ფაქტი კი ის არის, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ბანკის სესხებისა და საწარმოთა შორის ანგარიშსწორების მიზეზით შეუნელებლივ იზრდება ვადაგადაცილებული დავალიანების თანხა. ივნისის დამდეგისათვის ამ მაჩვენებელმა შეადგინა 3382,4 მილიონი მანეთი, რაც 15,7 პროცენტით აღემატება შარშან ამ დროს „მიღწეულ“ დონეს. განსაკუთრებით სწრაფად მატულობს მიმწოდებლების დავალიანება. სახაგრომრეწვის ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ, მაგალითად, დღეისათვის 1153,4 მილიონი მანეთი შეადგინა. ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სახმშენი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, სამომხმარებლო კოოპერაცია, ზოგიერთი სხვა სამინისტრო და უწყება. ამასთან, ვერც იმას აუვლით გვერდს, რომ ვადაგადაცილებული დავალიანების თანხა ბანკის სესხების მიხედვით მნიშვნელოვნად — 85,8 მილიონი მანეთით შემცირდა და ესეც დადებითი ფაქტია.

ზოთა ანაბუკელი.

გვესაუბრება ყრილობიდან დაბრუნებული დელეგატი

„კომუნისტის“ კორესპონდენტის დასმულ კითხვებს უპასუხებს საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი, მარნეულის სახალხო დეპუტატია რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატი როლან ვემარნიშვილი.

— რა განწყობილებით დაბრუნდით ყრილობიდან?

— ყრილობამ რთული და დაძაბული სიტუაციაში ჩაიარა. ვფიქრობ ზედმიწევნით გაართულა იმან, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა სხვადასხვა ძალები: რადიკალური დემოკრატიის მომხრენი და კონსერვატორთა ჯგუფი. ამ უკანასკნელებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, უკან დაებრუნებინათ ცხოვრების ჩარხი, საქმე წაეყვანათ სტალინიზმის ან უძრაობის წლების უხეშ მანკიერებათა გზით. ისინი გადამწყვეტ ბრძოლას უცხადებდნენ მათ, ვინც იღგწის ეკანონიერების რადიკალური დემოკრატიული რეფორმები, შექმნას სამართლიანი, ჰუმანური საზოგადოება, შეცვალოს შვიდი ათეული წლის მანძილზე დეფორმირებული პოლიტიკური სისტემა.

გამძარჯვა სამართლიანობამ, დამარცხდა რეაქციული ძალები, წარმატებით დაგვირგვინდა მონწინავე საზოგადოების შექმნისათვის მრავალი წლის ძალისხმევისა და რუდუნების შედეგები.

ქართველთა დელეგაციას განსაკუთრებული სიამაყის გრძნობა დაგვეუფლა, როცა სხვა დელეგატებთან ერთად ყრილობის განწყობილების გარდატეხა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ედუარდ შევარდნაძის შორსმეფეველურმა გამოსვლამ. მძიმე სიტუაციაში პოლიტიკური ალღო და გამჭრიახობა გამოაცალინა მიხეილ გორბაჩოვმა. ერთი სიტყვით, პარტიის პროგრესული ძალების არგუმენტები იმდენად მტკიცე, და დამაჯერებელი იყო, რომ მოწიაღმდეგეს ბუნთი პირში ჩასჩარეს და ხმის ამოღების საშუალება აღარ მისცეს.

საქართველოს დელეგაციის სწორი პოზიცია ერთხელ კიდევ საბოლოდ გამოიხატა გივი გუმბარიძის გამოსვლაში. მან საინტერესოდ, საღად და გასაგებად დაახასიათა ის მისწრაფებანი, რაც რესპუბლიკის კომუნისტებს ამოძრავებთ.

— ყრილობის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად, ალბათ, სწორედ ეს გარდატეხა მიგაჩნიათ?

— რასაკვირველია, მაგრამ არანაკლებ ემოციური იყო მომენტი, რომელიც შეეხო პარტიის წესდების 22-ე მუხლი. იგი მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიებს ანიჭებს გარკვეულ დამოუკიდებლობას. ამ მომენტში საქართველოს დელეგაციამ ღირსეულად დაიცვა თავისი პოზიცია, რომელიც ჩამოაყალიბა თავის ყრილობაზე და შესთავაზა საკავშირო ფორუმს. პოზიცია კი შემდეგი იყო: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარდაქმნა სუფერეულ სახელმწიფოთა დამოუკიდებელ კომუნისტურ პარტიად, აგრეთვე პარტიის არჩევითი ორგანოების შექმნა მხოლოდ პარიტეტულ საწყისებზე.

ეს პოზიცია ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის წარმომადგენელმაც გაიზიარა, მაგრამ იგი „ერთიანობის“ ერთგულთა ფიცხელ წინააღმდეგობას წააწყდა. მათ ეს პუნქტი მიიჩნიეს პარტიის გათიშვის საფრთხედ. ამ მომენტში ვაქაცობა გამოაცალინა ჩვენმა დელეგაციამ, რომელმაც მყისვე შედგინა განცხადება. ყრილობაზე იგი წაიკითხა რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა; ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა 22-ე მუხლი საქართველოს მიერ შეთავაზებული რედაქციით. ამრიგად, რესპუბლიკის კომპარტიის პოლიტიკურმა გეზმა საკვანძო გაამართლა. უკვე მიღწეულია რესპუბლიკების კომპარტიების სრული დამოუკიდებლობა. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენაა მათ ისტორიაში, რომელზეც თუნდაც ერთი წლის წინათაც კი, წარმოდგენა არ გვქონდა. ახ, როგორი ალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდება მოვლენები. საერთოდ, საქართველოს დელეგაცია ყრილობაზე დინჯად, გაბრძენებულად მოქმედებდა და კიდეც დაიმსახურა მათი სიმპატიებიც კი, რომლებიც ჩვენს მიმართ არაკეთილმოსურნედ იყვნენ განწყობილნი.

— რა მუშაობა გახლავთ ყრილობის წინ რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელსაც თქვენ ალრე თითქმის შვიდი წელი ედგით სათავეში და კრიტიკულ სიტუაციაში მას ერთი წლის წინათ კვლავ დაუბრუნდით?

— მოგეხსენებათ, რომ ჩემი რაიონში დაბრუნება მოხდა გასული წლის ივნისის ცნობილი ამბების შემდეგ, როცა იფეთქა ეთნოკრიზისმა, განხორციელებული ღონისძიებების შედეგად იგი მხოლოდ მოგონებად დარჩა. რა ვიღონეთ საამისოდ? საქმე ადგილებზე საკადრო პოლიტიკის გაუჯანსაღებლობამ ჩამოვაცილეთ მშრომელი ადამიანების თვალში სახელგატეხილი პირები. მათი ადგილები საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში დაიკავეს გამოცდილმა, საქმიანმა მუშაკებმა. ახალარჩეულთა უმრავლესობა ამართულს კოლეტივის ნდობას, მდგომარეობა უმჯობესდება, მყარდება წესრიგი და დისციპლინა, სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო საწარმოებს უკეთესი მაჩვენებლები აქვს, რაიონი თანდათანობით გადაწყვეტს თბილისსა და რუსთაველ მოსახლეობის საადრეო კარტოფილით და ბოსტნეულით უზრუნველყოფის პრობლემას.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სხბოლოოდ დაედო ზღვარი ქართული მიწების დატაცებას, მოწესრიგდა საპასპორტო რეჟიმი, რაიონში ალარ ვიკედლებთ უცხო მხარიდან გადმოხეტწენი, განსაკუთრებული ყურადღება კი დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე გვაქვს კამპანიელებული, სტაქანიაგან ლტოლვილი სვანი და აჭარელი მოსახლეობისათვის სოფელ თამარისში წამოიმართა 150 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, დაბა ზაუმიანის მახლობლად შენდება სრულიად ახალი სოფელი, სადაც 250 ქართული ოჯახი იცხოვრებს. 20-20 ოჯახი მკვიდრდება ძირძველ ქართულ სოფლებში წერაქვსა და სიონში, მარნეულის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე 150 ქართულ ოჯახს გაუხსნეს ფუძე, ყულარის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე 150 აჭარული ოჯახი ჩამოსახლდება, მდინარე ხრამის ნაპირას, იქ, საიდანაც ინდუსტრიული რუსთავი იღება სასმელ წყალს, რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თაოსნობით და ქალაქის სამრეწველო საწარმოთა თანადგომით შენდება ასოჯახიანი სოფელი სამრეკლო. ერთი სიტყვით, რაიონს ახლო ხანში ათასზე მეტი ქართული ოჯახი, ანუ 5 ათასზე მეტი მკვიდრი მოსახლეობა შეემატება. ეს დიდ ეროვნულ საქმედ მივიჩნიეთ; უძველეს ქართულ მიწაზე ქართველი უმეცრესობას არ უნდა წარმოადგენდეს.

— ეს ნამდვილად მტკივნეული საკითხი წამოწიეთ. ქართული მოსახლეობა რაიონში ჯერჯერობით მართლაც უმცირეს ნაწილს შეადგენს. რა მიგაჩნიათ საჭიროდ, რომ მოკლე ხანში საჭირბოროტოდ გაიხარდოს მათი რაოდენობა?

— მარნეულში ამჟამად ბევრ დიდსა და ეროვნულ ხაჭეს ედგმება თავი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი პირველად გადავიდნენ ქართულ წარმოებაზე და ამიტომ რაიონში ქართული ენის შემსწავლელთა ნამდვილი ბუმი. ყველა საწარმოდ-აწყობილებაში გახსნილია ქართული ენის შემსწავლელთა კურსები. ქართული ენის დაუფლების დიდი სურვილი აქვთ არაქართულენოვან მოსწავლეებს, რისთვისაც ხშირად გვაკითხავენ მათი მშობლები, მაგრამ გვიჭირს სათანადო კადრები. კარგი იქნება, თუ ქართველი ახალგაზრდობა ითავებს და მოაშურებს რაიონს, ადგილებზე მათ მუშაობისა და დასვენების ყველა პირობას შეუქმნით. შემდგომში, როცა სათანადო ადგილობრივ კადრებს მეპატრონეობა ექნებოდა...

— მაშასადამე, შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ მივიწყებულ-მიძინებული ქართული კულტურა კვლავ აღორძინდა?

— ამ მხრივ პერსპექტივები და გეგმები გაცილებით მეტი გვაქვს. ქალაქის ცენტრში მივიყვანეთ ძველი ბართლმადიდებელური ეკლესიის ნაფუძარი და მასზე ავაგებთ სრულიად ახალ ტაძარს. სოფელ წერაქვში მთავრდება XII საუკუნის მონასტრის რესტავრაცია. მიმდინარეობს მე-18-მე-19 საუკუნეების მოჯნებზე აგებული მარნეულის წმინდა გიორგის ეკლესიის აღდგენა...

წინ დიდი პერსპექტივებია. ამას ყველა ერთად წყვეტენ: ქართველებიც და აზერბაიჯანელებიც, სომხებიც და ბერძნებიც... ისინი ხელიხელჩაკიდებული შრომობენ და იღვწიან. გასული წლის ამ ავადმოსაგონარი დღეების შემდეგ რაიონში ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავების არავითარი ფაქტი არ აღნიშნულა, ვითარება ნორმალურია. მრავალი ეროვნების ადამიანები ისწრაფვიან საქართველოს სრული დამოუკიდებლობისაკენ.

—უპირს მთელ ქვეყანას, უპირს საქართველოსაც, ცხადია, მარნეულის რაიონსაც, რას ღონობთ ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის?

— ახლა გაჭირვებაზე ლაპარაკი დაესრულებლივ შეიძლება. ბიუროკრატიამ და პარტოკრატიამ, ცენტრიდან კარნახმა უკან ჩამოტოვა მეცნიერული და ტექნიკური პროგრესი. ჩვენ იმდენად დაბალ დონეზე აღმოვჩნდით, რომ ძალიან დავშორდით მოწინავე ქვეყნებს. ჩვენი საწარმოები მეტისმეტად პრიმიტიულია და ვეღარ პასუხობს მოთხოვნებს, სოფლის მეურნეობაში დაბალია მიწის ნაყოფიერება და მეცხოველეობის კულტურა, რის გამოც მეურნეობები დიდი დანახარჯებით იღებენ მცირე პროდუქციას. ბაზრებში სიმვირეა, მალზიებში ცარიელი ცარიელია, აი, სადამდე მიგვიყვანა კომუნიზმის „საუკეთესო“ ალტერნატივამ. ეს ერთ-ერთი ფაქტორია, რომ ეკონომიკურ-ტექნიკური ბაზა, რისთვისაც ქვეყანა უნდა განვამტკიცოთ უცხოეთის ფირმებთან. ავაგებთ ახალ საწარმოებსაც. სოფლის მეურნეობაში მხარს ვუჭერთ მეურნეობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ფერმერულ მეურნეობებს, ფართოდ განვავითარებთ აგრეთვე სანარდო ოჯახას, გლეხურ მეურნეობებს. ერთი სიტყვით, ჩვენ რადიკალური ეკონომიკური რეფორმის მომხრენი ვართ და ვამუშავებთ ადგილობრივი პირობების შესაბამის პროგრამას.

ბევრი „საშინაო“ საქმეც გვაქვს მოსაგვარებელი: ნაკლოვანებანი რაიონული და ძირეული რგოლების მუშაობაში — თუნდაც საკადრო პოლიტიკაში. ერთბაშად ყველა მიწის მიმტაცებლის ხელისშემწყობნიც და სხვა დამნაშავენიც ვერ ჩამოვიცილეთ თავიდან, კვლავაც არასასურველია მშრომელთა სასწავლო-საყმაწვილო, ყულტურული, სამედიცინო, საგაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე, არადამაკმაყოფილებელია ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მუშაობა და ა. შ. ერთი სიტყვით, პატიოსან შრომელ კაცს კვლავაც მრავალი საფიქრალი აქვს და სატკივარი აწუხებს.

— ახლა ისევ საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დავუბრუნდეთ. მისმა პირველმა ეტაპმა დიდი გავლენა მოახდინა კომუნისტთა საკადრო ფორუმზე. რა ელით მეორე ეტაპისგან?

— რესპუბლიკური ყრილობის მეორე ეტაპს თავისი წინამორბედთან შედარებით არანაკლები და უფრო მეტი მნიშვნელობაც ენიჭება. რადგან უკვე მიღწეულია შეთანხმება საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობის შესახებ, მას უნდა ჰქონდეს თავისი სტატუსი, პროგრამა და წესდება, რომლებიც ნამდვილად შეესაბამება საზოგადოების განვითარების თანამედროვე დონეს. და სწორედ ჩვენ გვხვდა წილად შეგიმუშაოთ ის სრულიად ახალი დოკუმენტი, რომელიც დაზღვეული იქნება წარსულის დოგმებისა და შეცდომებისაგან, მივიღოთ ბრძნული, აწონ-დაწონილი გადაწყვეტილებანი, რომლებიც დაეხმარება ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტებს პრინციპულად ახალ საფუძველზე აღორძინონ და სათანადო სიმაღლეზე აიყვანონ თავიანთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, მოუპოვონ მას ნდობა და ავტორიტეტი ფართო მასებში. შემაჩნია, რომ მრავალპარტიულობის პირობებშიც საქართველოს კომპარტიისა ეპოვის თავის კუთვნილ ადგილს. ჩვენი დინამიკური დრო თითქოს არ გვაძლევს ხანგრძლივი დაფიქრების საშუალებას. წინა პლანზეა წამოწეული საქმის პრაქტიკული მხარე და არაორდინარული სიტუაციების მართვა. ასეთი დაძაბულობის ვითარებაში მთავარია გამოვყოთ უმთავრესი არამთავრისა და მეორეხარისხოვანისაგან. ჩვენთვის დღეს ძირითადია სამშობლოს — საქართველოს სიყვარული და მისი ინტერესებისათვის უანგარო სამსახური.

ეხაუბრა

დავით ბიწაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

საპრეზიდენტო უმთავრესია

სიტუაციაში მას ერთი წლის წინათ კვლავ დაუბრუნდით?

— მოგეხსენებათ, რომ ჩემი რაიონში დაბრუნება მოხდა გასული წლის ივნისის ცნობილი ამბების შემდეგ, როცა იფეთქა ეთნოკრიზისმა, განხორციელებული ღონისძიებების შედეგად იგი მხოლოდ მოგონებად დარჩა. რა ვიღონეთ საამისოდ? საქმე ადგილებზე საკადრო პოლიტიკის გაუჯანსაღებლობით დაიწყო. დაყვავებულ პოსტებს ჩამოვაცილეთ მშრომელი ადამიანების თვალში სახელგატეხილი პირები. მათი ადგილები საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში დაიკავეს გამოცდილმა, საქმიანმა მუშაკებმა. ახალარჩეულთა უმრავლესობა ამართულს კოლეტივის ნდობას, მდგომარეობა უმჯობესდება, მყარდება წესრიგი და დისციპლინა, სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო საწარმოებს უკეთესი მაჩვენებლები აქვს, რაიონი თანდათანობით გადაწყვეტს თბილისსა და რუსთაველ მოსახლეობის საადრეო კარტოფილით და ბოსტნეულით უზრუნველყოფის პრობლემას.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სხბოლოოდ დაედო ზღვარი ქართული მიწების დატაცებას, მოწესრიგდა საპასპორტო რეჟიმი, რაიონში ალარ ვიკედლებთ უცხო მხარიდან გადმოხეტწენი, განსაკუთრებული ყურადღება კი დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე გვაქვს კამპანიელებული, სტაქანიაგან ლტოლვილი სვანი და აჭარელი მოსახლეობისათვის სოფელ თამარისში წამოიმართა 150 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, დაბა ზაუმიანის მახლობლად შენდება სრულიად ახალი სოფელი, სადაც 250 ქართული ოჯახი იცხოვრებს. 20-20 ოჯახი მკვიდრდება ძირძველ ქართულ სოფლებში წერაქვსა და სიონში, მარნეულის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე 150 ქართულ ოჯახს გაუხსნეს ფუძე, ყულარის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე 150 აჭარული ოჯახი ჩამოსახლდება, მდინარე ხრამის ნაპირას, იქ, საიდანაც ინდუსტრიული რუსთავი იღება სასმელ წყალს, რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თაოსნობით და ქალაქის სამრეწველო საწარმოთა თანადგომით შენდება ასოჯახიანი სოფელი სამრეკლო. ერთი სიტყვით, რაიონს ახლო ხანში ათასზე მეტი ქართული ოჯახი, ანუ 5 ათასზე მეტი მკვიდრი მოსახლეობა შეემატება. ეს დიდ ეროვნულ საქმედ მივიჩნიეთ; უძველეს ქართულ მიწაზე ქართველი უმეცრესობას არ უნდა წარმოადგენდეს.

— ეს ნამდვილად მტკივნეული საკითხი წამოწიეთ. ქართული მოსახლეობა რაიონში ჯერჯერობით მართლაც უმცირეს ნაწილს შეადგენს. რა მიგაჩნიათ საჭიროდ, რომ მოკლე ხანში საჭირბოროტოდ გაიხარდოს მათი რაოდენობა?

— მარნეულში ამჟამად ბევრ დიდსა და ეროვნულ ხაჭეს ედგმება თავი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი პირველად გადავიდნენ ქართულ წარმოებაზე და ამიტომ რაიონში ქართული ენის შემსწავლელთა ნამდვილი ბუმი. ყველა საწარმოდ-აწყობილებაში გახსნილია ქართული ენის შემსწავლელთა კურსები. ქართული ენის დაუფლების დიდი სურვილი აქვთ არაქართულენოვან მოსწავლეებს, რისთვისაც ხშირად გვაკითხავენ მათი მშობლები, მაგრამ გვიჭირს სათანადო კადრები. კარგი იქნება, თუ ქართველი ახალგაზრდობა ითავებს და მოაშურებს რაიონს, ადგილებზე მათ მუშაობისა და დასვენების ყველა პირობას შეუქმნით. შემდგომში, როცა სათანადო ადგილობრივ კადრებს მეპატრონეობა ექნებოდა...

— მაშასადამე, შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ მივიწყებულ-მიძინებული ქართული კულტურა კვლავ აღორძინდა?

— ამ მხრივ პერსპექტივები და გეგმები გაცილებით მეტი გვაქვს. ქალაქის ცენტრში მივიყვანეთ ძველი ბართლმადიდებელური ეკლესიის ნაფუძარი და მასზე ავაგებთ სრულიად ახალ ტაძარს. სოფელ წერაქვში მთავრდება XII საუკუნის მონასტრის რესტავრაცია. მიმდინარეობს მე-18-მე-19 საუკუნეების მოჯნებზე აგებული მარნეულის წმინდა გიორგის ეკლესიის აღდგენა...

წინ დიდი პერსპექტივებია. ამას ყველა ერთად წყვეტენ: ქართველებიც და აზერბაიჯანელებიც, სომხებიც და ბერძნებიც... ისინი ხელიხელჩაკიდებული შრომობენ და იღვწიან. გასული წლის ამ ავადმოსაგონარი დღეების შემდეგ რაიონში ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავების არავითარი ფაქტი არ აღნიშნულა, ვითარება ნორმალურია. მრავალი ეროვნების ადამიანები ისწრაფვიან საქართველოს სრული დამოუკიდებლობისაკენ.

—უპირს მთელ ქვეყანას, უპირს საქართველოსაც, ცხადია, მარნეულის რაიონსაც, რას ღონობთ ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის?

— ახლა გაჭირვებაზე ლაპარაკი დაესრულებლივ შეიძლება. ბიუროკრატიამ და პარტოკრატიამ, ცენტრიდან კარნახმა უკან ჩამოტოვა მეცნიერული და ტექნიკური პროგრესი. ჩვენ იმდენად დაბალ დონეზე აღმოვჩნდით, რომ ძალიან დავშორდით მოწინავე ქვეყნებს. ჩვენი საწარმოები მეტისმეტად პრიმიტიულია და ვეღარ პასუხობს მოთხოვნებს, სოფლის მეურნეობაში დაბალია მიწის ნაყოფიერება და მეცხოველეობის კულტურა, რის გამოც მეურნეობები დიდი დანახარჯებით იღებენ მცირე პროდუქციას. ბაზრებში სიმვირეა, მალზიებში ცარიელი ცარიელია, აი, სადამდე მიგვიყვანა კომუნიზმის „საუკეთესო“ ალტერნატივამ. ეს ერთ-ერთი ფაქტორია, რომ ეკონომიკურ-ტექნიკური ბაზა, რისთვისაც ქვეყანა უნდა განვამტკიცოთ უცხოეთის ფირმებთან. ავაგებთ ახალ საწარმოებსაც. სოფლის მეურნეობაში მხარს ვუჭერთ მეურნეობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ფერმერულ მეურნეობებს, ფართოდ განვავითარებთ აგრეთვე სანარდო ოჯახას, გლეხურ მეურნეობებს. ერთი სიტყვით, ჩვენ რადიკალური ეკონომიკური რეფორმის მომხრენი ვართ და ვამუშავებთ ადგილობრივი პირობების შესაბამის პროგრამას.

ბევრი „საშინაო“ საქმეც გვაქვს მოსაგვარებელი: ნაკლოვანებანი რაიონული და ძირეული რგოლების მუშაობაში — თუნდაც საკადრო პოლიტიკაში. ერთბაშად ყველა მიწის მიმტაცებლის ხელისშემწყობნიც და სხვა დამნაშავენიც ვერ ჩამოვიცილეთ თავიდან, კვლავაც არასასურველია მშრომელთა სასწავლო-საყმაწვილო, ყულტურული, სამედიცინო, საგაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე, არადამაკმაყოფილებელია ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მუშაობა და ა. შ. ერთი სიტყვით, პატიოსან შრომელ კაცს კვლავაც მრავალი საფიქრალი აქვს და სატკივარი აწუხებს.

— ახლა ისევ საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დავუბრუნდეთ. მისმა პირველმა ეტაპმა დიდი გავლენა მოახდინა კომუნისტთა საკადრო ფორუმზე. რა ელით მეორე ეტაპისგან?

— რესპუბლიკური ყრილობის მეორე ეტაპს თავისი წინამორბედთან შედარებით არანაკლები და უფრო მეტი მნიშვნელობაც ენიჭება. რადგან უკვე მიღწეულია შეთანხმება საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობის შესახებ, მას უნდა ჰქონდეს თავისი სტატუსი, პროგრამა და წესდება, რომლებიც ნამდვილად შეესაბამება საზოგადოების განვითარების თანამედროვე დონეს. და სწორედ ჩვენ გვხვდა წილად შეგიმუშაოთ ის სრულიად ახალი დოკუმენტი, რომელიც დაზღვეული იქნება წარსულის დოგმებისა და შეცდომებისაგან, მივიღოთ ბრძნული, აწონ-დაწონილი გადაწყვეტილებანი, რომლებიც დაეხმარება ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტებს პრინციპულად ახალ საფუძველზე აღორძინონ და სათანადო სიმაღლეზე აიყვანონ თავიანთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, მოუპოვონ მას ნდობა და ავტორიტეტი ფართო მასებში. შემაჩნია, რომ მრავალპარტიულობის პირობებშიც საქართველოს კომპარტიისა ეპოვის თავის კუთვნილ ადგილს. ჩვენი დინამიკური დრო თითქოს არ გვაძლევს ხანგრძლივი დაფიქრების საშუალებას. წინა პლანზეა წამოწეული საქმის პრაქტიკული მხარე და არაორდინარული სიტუაციების მართვა. ასეთი დაძაბულობის ვითარებაში მთავარია გამოვყოთ უმთავრესი არამთავრისა და მეორეხარისხოვანისაგან. ჩვენთვის დღეს ძირითადია სამშობლოს — საქართველოს სიყვარული და მისი ინტერესებისათვის უანგარო სამსახური.

ეხაუბრა

დავით ბიწაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეკონომიკა: პროგნოზები

ერთობლივი ძალისხმევით

ამას წინათ საქართველოს სამთოელთა საზოგადოების პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე, რომელშიც რესპუბლიკის სამეცნიერო, საპროექტო-საწარმოო და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ცხარე კამათი გაიმართა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა წინაშე წარმოქმნილი იმ არასახარბიელო პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც, როგორც ჩანს, წლების მანძილზე გროვდებოდა.

ჩვენი საკუთარი სათბობ-ენერგეტიკული რესურსებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ქვანახშირის მოპოვებას განეკუთვნება. ამ წაიღისეულით, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა არჩილ ძიძიგურამ გვითხრა, მდიდარია ტყიბულ-შაორისა და ტყვარჩელის, აგრეთვე ახალციხის საბადოები. ვინ არ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, სახელდობრ, მყარი, სტაბილური ნედლეულის მაქსიმალურად გამოყენებას. არცთუ შორეულ წარსულში, იყო დრო, როდესაც წელიწადში ჩვენი მეშახტეები 3 მილიონ ტონამდე ქვანახშირს იღებდნენ. მაგრამ ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა მისი მოპოვება. რა თქმა უნდა, ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიც აქვს. დღეს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ქვანახშირის წარმოება კრიზისშია. სისტემატურად კლებულობს სათბობის ამოღება, დაბალია შახტების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური დონე, მართვის სტრუქტურა, ძალზე გაუარესდა აქ მომუშავეთა სოციალური ყოფა, თუ უახლოეს დროში ამ საკითხების წარმატებით გადაწყვეტას განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცა, ისედაც გავერანებული შახტები კიდევ უფრო გაპარტახდება. ახალციხის შურა ნახშირის საბადოში მოპოვება დღეისათვის შეწყვეტილია, მარაგი კი აქ ძალზე მნიშვნელოვანია, ოღონდ მზრუნველი ხელია საჭირო. დღეისათვის ყველაზე პერსპექტიულ საბადოდ მიჩნეა ტყიბულ-შაორის საბადო ითვლება, სადაც დამტკიცებული მარაგი 300 მილიონ ტონას აღემატება და მისი მოპოვება ძალზე საშური საქმეა.

ასევე აღსანიშნავია ერთიც: ასეთი მცირე საკუთარი ელექტროენერგიის პირობებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა წელიწადში 5-6 მილიარდ კუბურ-მეტრ გაზსა და 3 მილიონ ტონამდე მაზუთს იყენებს, წინასწარი გაანგარიშებით 2000 წლისათვის გაზზე მოთხოვნა 20 მილიონ კუბურ მეტრამდე გაიზრდება, ხოლო რესპუბლიკას მილიონობით ტონა საწვავი დასჭირდება: მომავალ წლებში ნავარაუდევია თბომომარაგების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ძირითადად გაზზე იქნება დაფუძნებული. მაგალითად, 2010 წლისათვის გაზის მოხმარება 100 მილიონ კუბურ მეტრს მიაღწევს, ასეთ პირობებში სწორედ მახვილი თვალი და გონება საქართველოში არსებული ქვანახშირის მოპოვებას უნდა დაეთმოს, თორემ სავალალო მდგომარეობაში შეიძლება აღმოვჩნდეთ. როგორც ზემოთ ვთქვით, თუ ადრე წელიწადში 3 მილიონამდე ტონა ქვანახშირს იღებდნენ, დღეს ეს მაჩვენებელი მილიონ 100 ათას ტონას თუ აღემატება.

ეს ფაქტი მოგვანიშნებს სამთოელთა გასაჭირზე და ასეთ პირობებში ერთობ ყურადსაღებია ამ დარგის სპეციალისტებისა და მეცნიერების ნაზრევისა და ნაფიქრალის შესწავლა და გამოყენება. წლების მანძილზე მიშვებულმა საქმემ ერთობ იჩინა თავი და იგი ტყიბულ-შაორის შახტში მომუშავეთა გამწვავებული, შეიძლება ითქვას, საგანგებო სიტუაციით გამოიხატა. ახლა მიზეზების კონსტატაცია ვერაფერს გვიშველის, მთავარია გულითადად მოვეკიდოთ შექმნილ მდგომარეობას და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ვიზრუნოთ შახტებში თანამედროვე ტექნიკის დანერგვისათვის. შევცვალოთ მართვის სტრუქტურები და ორგანიზაცია, აუცილებელია ახლის მშენებლობასთან ერთად ჩატარდეს არსებული შახტების რეკონსტრუქცია, რადიკალურად შეიცვალოს აქ მომუშავეთა ყოფაცხოვრების პირობები, რაც ალბათ ერთ-ერთი პირობა გახდება საქმისაკენ მეშახტეების შემობრუნებისა. სწორედ ამ მეტად აქტუალური საკითხების განხილვასა და ამის შესაბამისად სასაკეთო გადაწყვეტილებების განხორციელებას მიეძღვნა სამთოელ მეცნიერთა გაფართოებული პრეზიდიუმის სხდომა.

ლალი ქინქლაძე.

ზაფხულის საფუტკრეში

საყოველთაოდ აა ცნობილი და აღიარებული ქართული მთიან რუხი ფუტკარი, რომელსაც ხამი ოჭრის მედალი აქვს მოპოვებული საერთაშორისო გამოფენებზე. დიდია მოთხოვნა ჩვენებურ ფუტკარზე, ხაიდან არ მოდის შეკვეთები ნაყარსა და დედაფუტკარზე — ნაფრანგეთიდან, ინგლისიდან, კანადიდან თუ შეერთებული შტატებიდან — ყველა შემკვეთს ვერც კი ჩამოთვლი, მოთხოვნა დიდი კია, მაგრამ მეფუტკრეობის, იმავე როგორც მეურნეობის სხვა დარგების, განვითარებაში მრავალი ნაკლია, რომელთა აღმოფხვრა ხაშური ხაქმეა.

ეს კარგად ესმით ხაჩხერის რაიონის ხოფელ გორიხის კოლმეურნეობაში, სადაც 160 ოჯახი ხკა ჰყავთ მოაში — ზაფხულის ხაფუტკრეში. მეფუტკრეები დაახლოებით ორასი ცენტნერი თაფლის მიღებას ვარაუდობენ წლეულს.

ხურათებზე: მეფუტკრე აკაკი დარგიძე; ზაფხულის ხაფუტკრეში.

ავთანდილ გაბაგარიანის ფოტო (ხაქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აცხადებს საკონკურსო ნამუშევრების მიღებას 1990 წლის **„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის“** მოსაპოვებლად.

საკონკურსოდ მიიღება ნამუშევრები, რომლებიც მთლიანად გამოქვეყნებულია (ნაჩვენებია, აგებულია) უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, 1990 წლის 1 ივლისამდე.

კანდიდატურათა წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1990 წლის 1 ოქტომბერი.

კომიტეტი სთხოვს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდონ კანდიდატურების შერჩევას, საკონკურსოდ წარმოადგინონ ლიტერატურის, ხელოვნების, არქიტექტურისა და პუბლიცისტიკის დარგის ის ნაწარმოებნი, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარებაში.

წარდგინება უნდა მოხდეს ნაწარმოებთა დონისაადმი დიდი მომთხოვნელობის, ავტორებისა და ავტორთა კოლექტივების ნამუშევართა ობიექტური განხილვის საფუძველზე.

ცნობისათვის მისამართი კომიტეტის: 380018, თბილისი, რუსთაველის პრ. 8, ტელეფონები: 99-64-82, 99-06-36, 99-91-49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკსიქოლი

საკრედსი იუწყება

25 ივლისი

● ავღანეთი

არჩილ კოპაძე ბრუნდება

ქაბული. გუშინ ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საბჭოთა მხარისათვის ყოფილი სამხედრო მოხამსახურის არჩილ კოპაძის გადაცემის საზეიმო ცერემონია. ა. კოპაძის ტყვეობიდან დახსნა შესაძლებელი გახდა ავღანეთის უშიშროების სამსახურის ცდებისა და ავღანეთში ისმაილიტების სექტის ბელადის მანსურ ნადირის ხელშეწყობის შედეგად. ცერემონიაზე გამოსვლისას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კატავაზნიძ აღნიშნა, რომ ეს უკვე მეოთხე საბჭოთა მოქალაქეა, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა ავღანეთის უწყებებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლების ერთობლივი მოქმედების შედეგად. მან ხაზი გაუსვა, რომ ამ მხრივ ცდები გაგრძელდება.

საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა შ. ა. ამონაშვილმა ღრმა მადლიერება გამოთქვა ავღანეთის ხელმძღვანელობის მიმართ იმის გამო, რომ იგი უყურადღებოდ არ ტოვებს საბჭოთა ხალხისთვის ამ მწვავე პრობლემას, იზიარებს იმ ოჯახების დარდს, რომელთა შვილებიც ჯერ კიდევ ოპოზიციის ტყვეობაში იმყოფებიან.

ა. კოპაძემ და მისმა ძმამ გუჩულამ მადლობა გადაუხადეს ავღანეთის ხელისუფალთ, მშვიდობა და აყვავება უსურვეს ავღანელ ხალხს.

● გდრ

კოალიციური კრიზისი

ბერლინი. სამთავრობო კოალიციის შემადგენლობიდან გამოსვლა გამოაცხადეს ლიბერალებმა. კოალიციის რღვევისა და აქედან გამომდინარე შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მათ პრემიერ-მინისტრს ლ.დე მეზიერს და მის მხარდამჭერ პოლიტიკურ ძალებს დააკისრეს. ეს განაცხადა ლიბერალთა საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ რ. ორტლებმა.

გდრ-ის პრემიერ-მინისტრი ლ. დე მეზიერი რამდენჯერმე შეეცადა სამთავრობო კოალიციის შენარჩუნებას. ეურნალისტების შეკითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და ლიბერალები, მან თქვა, რომ ხანგრძლივი და დაძაბული მოლაპარაკება ჰქონდა პარლამენტში დიდი კოალიციის შექმნის მიზნით.

ქვეყანაში გამწვავებული კოალიციური კრიზისის საკითხი ცალ-ცალკე განიხილეს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ლიბერალების საპარლამენტო ფრაქციების სხდომებზე. როგორც ლიბერალები, ისე სოციალ-დემოკრატები საყვედურობდნენ პრემიერ-მინისტრს, რომ იგი განუზრელად იცავდა ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში გდრ-ის შესვლის საკითხისადმი თავის მიდგომას, რაც მეტად ენერგიულ დისკუსიებს იწვევდა, მაშინ როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტია და ლიბერალები გფრ-ის შემადგენლობაში გდრ-ის შესვლას სრულიად გერმანიის არჩევნების ჩატარებამდე მოითხოვენ, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (გდრ), რომელსაც ლ. დე მეზიერი ხელმძღვანელობს, საწინააღმდეგო თვალსაზრისს ადგას. მისი აზრით, არჩევნები ცალკე საარჩევნო ტერიტორიებზე უნდა ჩატარდეს, ხოლო გფრ-ში შესვლა მხოლოდ არჩევნების შემდეგ უნდა განხორციელდეს.

ლ. დე მეზიერმა ლიბერალების ნაბიჯი შეაფასა, როგორც კოალიციური შეთანხმების აშკარა დარღვევა. წინასაარჩევნო ტაქტიკური მოსაზრებებით მათ გდრ-ის მოქალაქეთა ინტერესების წინააღმდეგ გაილაშქრეს, ნათქვამია მთავრობის ხელმძღვანელის განცხადებაში.

● საფრანგეთი

დიუმას ინტერვიუ

პარიზი. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების ხელმძღვანელთა შეხვედრა, მიმდინარე წლის ბოლოს რომ არის დაგეგმილი პარიზში, უნდა გახდეს ყველაზე დიდი საერთაშორისო ფორუმი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. გაზეთ „ფიგაროსათვის“ მიცემულ ინტერვიუში ეს განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. დიუმამ. „პირველად 1945 წლის შემდეგ პარიზში საუბარი შეეხება ევროპის ახლებურად მოწყობას, — თქვა მან. ვიმედოვნებ, რომ ეს კონფერენცია უდიდეს პერსპექტივებს გაუხსნის გზას“.

ევროპასა და მთელ მსოფლიოში ამჟამად შექმნილი საგარეო პოლიტიკური სიტუაციის განხილვასას მინისტრმა უარყო ყოველგვარი ცდა, განისაზღვროს „ცივი ომის“ „გამარჯვებულნი“ ან „დამარცხებულნი“. „არ შეიძლება იმსჯელო საერთაშორისო ცხოვრებაზე, როგორც საფეხბურთო ჩემპიონატზე. ჩვენ ახალი სამყაროს დაბადების მოწმენი ვართ... არ ვიცი, ვინ იქნება წაგებული... მაგრამ შემიძლია ვთქვა, ვინ გაიმარჯვა: მშვიდობამ და თავისუფლებამ!“.

ახალი ევროპული წესის საფუძველი, საფრანგეთის აზრით, უნდა იყოს ევროპის გაერთიანება. ინტეგრაციის შემდგომი ეტაპი გახდება „ევროპის კონფედერაცია“, რომლის იდეა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა წამოაყენა. „დაბოლოს, ეს არის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომელშიც შედიან აშშ და კანადა — მათი მონაწილეობა აუცილებელია ევროპაში ძალების წონასწორობის უზრუნველსაყოფად. როგორც უნდა იყოს მისი მომავალი, საბჭოთა კავშირი სამხედრო თვალსაზრისით ზესახელმწიფო იქნება ევროპის კონტინენტზე. ამასთან, ძალების წონასწორობა აშშ-ის და კანადის ეფექტიანმა მონაწილეობამ უნდა უზრუნველყოს“.

ფოტოინფორმაცია

აშშ. ინგლისელ ტომ მაკლინს განზრახული აქვს ანტლანტის ოკეანე გადაცუროს საკუთარი კონსტრუქციის ხომალდით, რომელიც ფორმით ბოთლს წააგავს. იგი თვლის, რომ ნიუ-იორკიდან ინგლისამდე 28 დღეში ჩაიცურავს. რეკლამის შედეგად მიღებული ფულის ნაწილს მაკლინი ობოლ ბავშვთა სახლს გადახცემს.

ხურათზე: ტომ მაკლინი ნიუ-იორკის ყურეში ტატარტის წინ.

ასოშიეიტედ პრეს-საკრედსის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

ბონი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ხამუშაო ვიზიტად მყოფი ხსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ი. აბალკინი აქ შეხვდა ეკონომიკის ფედერალურ მინისტრს მელქიორ მაუხმანს. საუბრის დროს განიხილეს ეკონომიკის დარგში საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის თანამშრომლობის საკვანძო საკითხები. მხარეებმა დადასტურეს მზადყოფნა, გააღრმაონ ორმხრივი ურთიერთობა იმ შეთანხმებათა გათვალისწინებით, რომლებიც მიღწეულ იქნა ამასწინანდელი უმაღლესი დონის შეხვედრის დროს.

ვანინა. ოფიციალური მონაცემებით, ფილიპინებში 16 ივლისს მოხდარი დამანგრეველი მიწისძვრის მსხვერპლთა რიცხვმა 1.621 კაცს მიაღწია. მაგრამ, როგორც მაშველი ხამუშაოების ეროვნული კოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლები თვლიან, დაღუპულთა რიცხვი, ალბათ, 3 ათასზე მეტ კაცს შეადგენს, ვინაიდან ქვეყნის ჩრდილოეთით ჯერ კიდევ ბევრ დასახლებულ პუნქტში ნანგრევებიდან დაღუპულთა გვამები აქვთ.

ვანანგუა. რამდენიმე კვირის გადაუღებელი კოკისპირული წვიმების შედეგად ტრაგიკული მდგომარეობა შეიქმნა ნიკარაგუის ჩრდილოეთით ატლანტიკის სანაპიროზე. ოფიციალური მონაცემების თანახმად, წყალმა დატბორა 170 სოფელი და დასახლება. უსახლკარად დარჩა 106 ათასზე მეტი ადამიანი, ათიათასობით ჰექტარზე განადგურდა მარცვლეულის ნათესი. მთავრობამ შექმნა საგანგებო ეროვნული კომიტეტი, რომელმაც კოორდინაცია უნდა გაუწიოს დაზარალებულთა დახმარებას.

მაჟულის სიყვარულით ანთებული

გულო კაიკაციშვილის დაბადების 150 წლისთავისათვის



ტო პაწაი სიძინდოს და ღომის მუშაობა დაგვირჩა ხელში, ამით მარტო სახვითქრო გადასახადი მივსეცეთ, თუ მოყვარეს ქორწილზე მოვულოცოთ, თუ იმით რა ვქნათ, თუ სული დავიპუროთ, თუ ტანფეხი ჩავიცვათ?! მარტო სულის დასაპურებლად არ გვეყოფა.

ამაში გამოდის ყველაფერი უბედურება და ამაზე ფუნარა (ღარიბი) შევიქენით, ძია, ჩვენმა ახალგაზრდა ბიჭებმა ერთქამეტში მტრობა დაიწყეს. ცხენი და ხარი არ შეგვარჩინეს...

ასეი შეწუხებული ვართ, გეხვეწებით, ძიავ, აგი ჩემი სიტყვა კარგათ გააკეთე და შენს გაზეთში ჩასწერე, ჩემო ძიავ ბატონო.

ქობულეთელი სოფლის სამების მცხოვრები გულაი კიკაციშვილი“.

მის კორესპონდენციას მიღებისთანავე აქვეყნებდნენ. ერთხელ ერთი და იგივე წერილი „ივერიამ“ და „დროებამ“ ერთდროულად დაბეჭდა, რადგანაც საინტერესოდ მიიჩნიეს. 1880 წლის 29 აპრილს „დროებაში“ გამოქვეყნებულ გ. კიკაციშვილის წერილს რედაქციის შენიშვნა აქვს: „ეს წერილი ქობულეთელ ქართველისაგან არის გამოგზავნილი და შეუცვლელად ვბეჭდავთ“.

რედაქცია უფრთხილდებოდა თავის კორესპონდენტს — გონიერ მკითხველს, სასახელო შვილს იმ ტუთხისას, რომელმაც დამპყრობთა სამსაწლიანი ბატონობის დროს ნაღვერდალივით შემოინახა მამაპაპური ენა და დამწერლობა. ასეთ ქართველს სხვა სითბო, სხვა კოლორიტი ჰქონდა. ერისკაცებმა კითხულობენ, რომ წიგნები სულ უბეში უძევთო და მწარეთ მისტირიან თურმე საქართველოს“.

კიდევ უფრო საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ზ. ჭიჭინაძის 1893 წლის 17 სექტემბრის კორესპონდენცია: „ქობულეთი. 1 სექტემბერი. დიდის სიამოვნებით უნდა ვაუწყოთ ქართულ საზოგადოებას შემდეგი სასიამოვნო ამბავი. ამ ზაფხულს ქობულეთის უფროსს თხოვნა მიართვეს მკვიდრ ქართველ მაჰმადიანთა საპატიო კაცებმა: გულო-აღა ყიაკაციშვილმა და დედი-აღა ნიკარაძემ, და სთხოვეს, გვიშუამდგომლეთ მთავრობის წინაშე, რომ მისის დახმარებით ქობულეთში ისეთი სკოლა დაგვიარსეს, რომელიც უფრო გამოსადეგი იქნება ჩვენთვისო.

ბათუმდან უფროსი საჩქაროდ ავიდა ქობულეთში და მთხოვნელთ მადლობა გადაუხადა კეთილის საქმის თაოსნობისათვის. მეორე დღესვე, უფროსის ბრძანებით, დაიბარეს მამასახლისები და მოთავე კაცნი ქობულეთისა.

დანიშნულ დღეს მოვიდნენ ყველა დაბარებულნი და გამოეცხადნენ უფროსს. უფროსმა აუწყა სკოლის გამართვის ამბავი და მადლობა გადაუხადა ამ საქმის დამწყებთ. ხალხი ორ ნაწილად გაიყო და საქმე მაინც სკოლის დაარსებით გადაწყდა. ბოლოს სკოლის დაარსების თანახმა გახდნენ თვით ისინიც, ვინც პირველად წინააღმდეგი იყვნენ. ამ საქმისათვის ბევრი შრომა და მეცადინეობა გასწიეს ზემოხსენებულმა ქართველმა მაჰმადიანებმა გულო-აღა კიკაციშვილმა და დედი-აღა ნიკარაძემ. ხალხს ამათ ურჩიეს, ამათ ჩააგონეს სკოლის სიკეთე და ბევრი საგრძნობელი სიტყვა უთხრეს.

საღამოს მაინც ხალხი დაშოშმინდა და დაპყვა ნებას თავის გაგებულ წარმომადგენლებს. უფრო იმიტომ დაპყვნენ ნებას, რომ პატივცემულმა გულო-აღა ყიაკაციშვილმა ამ ჩინებული საქმისათვის საკმარისად დიდი ალაგი შესწირა, ღირებული 500 მანეთად, ეს ადგილი სძევს ქობულეთის მისასვლელში, ზღვის პირას, სადაც წინათ ცხოვრობდა ალი ფაშა თავდგირიძე. ამ ადგილის შეწირვა დიდი სიამოვნებით იქმნა ადგილობრივი მთავრობისაგან მიღებული. შეწირვის ამბავმა აქაური მაჰმადიანები ძლიერ გააკვირვა და ყველა გაოცებული იყო, რომ გ. კიკაციშვილმა ამოდენა ადგილი შესწირა. ამ მაგალითმა დიდად წაახალისა სოფლის ხალხი. შემწირველმა ადგილი ჩააბარა მთავრობას. მთავრობამ მზრუნველნი ამოარჩევნა თვით ქართველ მაჰმადიანთა შორის. ადგილი გაზომილ იქნა და შემოსაზღვრული. შეწირულ ადგილის გვერდით დღეს მშვენიერ ბაღს აკეთებენ და ხალხს სურს, რომ მომავალ სკოლასაც საბაღოსო სკოლა იყოს“.

აქვე მოხსენიებულია ისიც, რომ ქობულეთის სკოლიდან გადავიდა ტფილისის 1 კლასიკურ გიმნაზიაში დედი-აღა ნიკარაძის შვილი და ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაშივე სწავლობს შვილი — პატიცემულ მაჰმადიანის გულო-აღა ყიაკაციშვილისა“.

სამწუხაროდ, ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ოდესის უნივერსიტეტში სასწავლებლად წასული გულო ყიაკაციშვილის ვაჟი გარდაიცვალა.

გულო ყიაკაციშვილის შვილიშვილმა— მამაჩემის დედამ, დაწყებითი განათლება აკაკი წერეთლის სახელობის №1 სკოლაში მიიღო, ცნობილმა იურისტმა მ. ნიკურაძემ იგი შემდეგ ქუთაისში წაიყვანა, ოჯახში მიიწვია მუსიკისა და უცხო ენების მასწავლებლები. მ. ნიკურაძის ოჯახთან ახლოს იყო დავით კლდიაშვილის სახლობა. გულიკო ყიაკაციშვილმა დაამთავრა ბათუმის პედსასწავლებელი და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე, წლების მანძილზე ემსახურებოდა აკარაში ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეს.

პაპის ანდერძის შესაფერისად სწავლობდნენ და შრომობდნენ გულო ყიაკაციშვილის მემკვიდრეები.

1962 წლის 30 ოქტომბერს ქობულეთში გულოს შვილიშვილის კუკური ყიაკაციშვილის ოჯახში გიორგი ლეონიძეს ექსპრომტად უთქვამს:

„თუ აჭარა აღსდგა მკვდრეთით,
თუ აჭარა ფიქრობს საღად,
ამის მიზეზთაგანია,
რომ, აქ გვყავდა გულო-აღა.
აი კაცი! ვეფხვი კაცი,
თუმცა გული დაიდაღა,
ჩვენ მის სახელს დღესაც
ვხმარობთ
ქართველობის იარაღად!“

ამბობენ, კაცს ორი სახელი აქვსო — ერთი — ამქვეყნიური, მეორე იმ ქვეყნად წასაღები.

გულო ყიაკაციშვილმა ღირსეულად განვლო წუთისოფელი და სახელიც ნათელი გაიყოლია.

რევაზ ლორთქიფანიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.

ავტორის თხოვნით, ჰონორარი გადაირიცხება მაღალმთიან აჭარაში სტიქიით დაზარალებულთა ფონდში.

ეროვნული სატკივარი

ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი **კიბა ბუაჩიძე** მთელი თავისი დღე და მოსწრება ხმალამოღებული ებრძვის ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში ფესვგადგმულ მანკიერებებს, მათ შორის — დაუშვებელ გულარხეინობას, რომელსაც ჩვენ ყველანი ვიჩენთ ავტოსატრანსპორტო დამნაშავეთა და მათი შემწყნარებელებისადმი; მკითხველი კარგად იცნობს ამ საკითხზე გამოქვეყნებულ მის არაერთ წერილს თუ შენიშვნას.

დღეს გთავაზობთ ერთ ნაკვეთს ბატონ კიტა ბუაჩიძის დასაბეჭდად გამზადებული „შავი წიგნის“ **მეორე ნაწილიდან,** რომელიც ამავე თემას შეეხება. ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გამოეხმაურება პუბლიკაციას, მეტადრე იმ პრინციპული შეფასების ფონზე, რომელიც ამ დღეებში მიეცა რესპუბლიკაში ავტოკატასტროფების მდგომარეობას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე.

სვაზილენდი ყველაზე პატარა სახელმწიფოა სამხრეთ აფრიკაში. მის მეფეს, სობხუზს მეორეს, ასი ცოლი ჰყავს და ექვსასი შვილი. მაგრამ ეს ერთი ხელისგულისოდენა ქვეყანა ამით როდია ჩვენთვის საინტერესო, — საკვირველი ის არის, რომ ჩვენგან განსხვავებით, ამ ჯერ კიდევ თანამედროვე ცივილიზაციის ფეხაუდგმელ ქვეყანაში ავტომანქანები თუმცა ერთობ მომრავლებულია, მაგრამ მათი ტარების, ექსპლოატაციის კულტურა ბევრად მაღლა დგას, ვიდრე, როგორც ხშირად გვარწმუნებენ, უძველესი ცივილიზაციის მქონე საქართველოში.

სვაზილენდის გზებზე დიდი ასეულებით წარწერილი ტრანსპარანტები მძღოლს აფრთხილებენ: „გახსოვდეთ! ხუთი წლის მანძილზე ჩვენს გზებზე სამასი სასიკვდილო შემთხვევა მოხდა..“

ეს ცოტა დანაკლისად როდი მიაჩნია იმ ხალხსაც კი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს პატრიარქალურ წყობას, რომელმაც არ იცის, რა არის ამორტი, არ იცის, რა არის მკვლელობა, რომელსაც არ უსწრაფავს სიცოცხლეს ლოთობა და ნარკომანია, რომელსაც სწამს საიქიო ცხოვრებისა, და მაინც არ ესწრაფვის მოუსავლეთისაკენ.

სამასი „ავტოსიკვდილი“ საქართველოში **ხუთ წელიწადში** კი არა... სულ ცოტა, სამი თვის ნორმაა, მაგრამ ამაზე ჩვენი მაგისტრალები დუმან, — ვაითუ ეს ამბავი მოზამბიკში ანდა ეთიოპიაში შეიტყონ და მათს თვალში კომუნიზმის მშენებელთ სახელი გაუტყდესო; ჩვენში ხომ არაფერი არ ხდება ადამიანის საზიანოდ, არც ბუნება გვერჩის და არც ბუნების მეფე, კაცად წოდებული!

1979 წელს რკინიგზის ნატანებათუმის გადასარბენზე უსაზარლესი კატასტროფა მოხდა... იმდენად საზარელი, რომ ზუსტად ვერც კი აღირიცხა, რამდენი მგზავრი ცოცხლად ამოიწვა-ამოიბუგა.

ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავენი საქვეყნოდ გაესამართლებინათ და ჩვენ, შეძრწუნებული ხალხი, სასამართლოს ყოველი სხდომის კუთხეში ვყოფილიყავით, რათა ამათ ყველას გაგვეგო და ჰკუა **ვასწავლა,** რა მოჰყვება, რკინიგზაზე მაინც, რკინისებური დისციპლინის დარღვევას, მხოლოდ ტელევიზორით, ისე, სასხვათაშორისოდ გვამცნეს განაჩენი— პატიმრობის ამდენი და ამდენი წელი მიესაჯათო...

კი, მაგრამ... ტელევიზორს ერთდროულად მთელი ქვეყანა ხომ არ უყურებს, თანაც მარტო ტელევიზიით გაცნობა რაიმე მნიშვნელოვანისა, ეს თითქმის ყინულზე დაწერილს წააგავს...

...თქვე მამაცხონებულებო, პარაგვაიში ავტობუსი გადაბრუნდაო, ორი მოკვდა და სამი დაშავდაო, ამას ჩვენს გაზეთებში დიდი ამბით, სასენსაციოთ თუ ბეჭდავთ...

ჰო, მაგრამ, მამაშვილობას, ეს რა ჩვენი სადარდებელია, პარაგვაიში თუ ურუგვაიში ავტობუსი გადაბრუნდა თუ გადმობრუნდა, მით უმეტეს, რომ ასეთი შემთხვევები იმ ქვეყნებში არცთუ ისე ხშირად ხდება, ჩვენთან კი ამგვარი უბედურებანი, როცა ორი და სამი კაცი კი არა, — ზუთი და ათიც იღუპება და მილიციის სწორედ „დროებამ“ ერთდროულად დაბეჭდა, რადგანაც საინტერესოდ მიიჩნიეს. 1880 წლის 29 აპრილს „დროებაში“ გამოქვეყნებულ გ. კიკაციშვილის წერილს რედაქციის შენიშვნა აქვს: „ეს წერილი ქობულეთელ ქართველისაგან არის გამოგზავნილი და შეუცვლელად ვბეჭდავთ“.

რედაქცია უფრთხილდებოდა თავის კორესპონდენტს — გონიერ მკითხველს, სასახელო შვილს იმ ტუთხისას, რომელმაც დამპყრობთა სამსაწლიანი ბატონობის დროს ნაღვერდალივით შემოინახა მამაპაპური ენა და დამწერლობა. ასეთ ქართველს სხვა სითბო, სხვა კოლორიტი ჰქონდა. ერისკაცებმა

ტო პაწაი სიძინდოს და ღომის მუშაობა დაგვირჩა ხელში, ამით მარტო სახვითქრო გადასახადი მივსეცეთ, თუ მოყვარეს ქორწილზე მოვულოცოთ, თუ იმით რა ვქნათ, თუ სული დავიპუროთ, თუ ტანფეხი ჩავიცვათ?! მარტო სულის დასაპურებლად არ გვეყოფა.

ამაში გამოდის ყველაფერი უბედურება და ამაზე ფუნარა (ღარიბი) შევიქენით, ძია, ჩვენმა ახალგაზრდა ბიჭებმა ერთქამეტში მტრობა დაიწყეს. ცხენი და ხარი არ შეგვარჩინეს...

ასეი შეწუხებული ვართ, გეხვეწებით, ძიავ, აგი ჩემი სიტყვა კარგათ გააკეთე და შენს გაზეთში ჩასწერე, ჩემო ძიავ ბატონო.

ქობულეთელი სოფლის სამების მცხოვრები გულაი კიკაციშვილი“.

მის კორესპონდენციას მიღებისთანავე აქვეყნებდნენ. ერთხელ ერთი და იგივე წერილი „ივერიამ“

ტო პაწაი სიძინდოს და ღომის მუშაობა დაგვირჩა ხელში, ამით მარტო სახვითქრო გადასახადი მივსეცეთ, თუ მოყვარეს ქორწილზე მოვულოცოთ, თუ იმით რა ვქნათ, თუ სული დავიპუროთ, თუ ტანფეხი ჩავიცვათ?! მარტო სულის დასაპურებლად არ გვეყოფა.

ამაში გამოდის ყველაფერი უბედურება და ამაზე ფუნარა (ღარიბი) შევიქენით, ძია, ჩვენმა ახალგაზრდა ბიჭებმა ერთქამეტში მტრობა დაიწყეს. ცხენი და ხარი არ შეგვარჩინეს...

ასეი შეწუხებული ვართ, გეხვეწებით, ძიავ, აგი ჩემი სიტყვა კარგათ გააკეთე და შენს გაზეთში ჩასწერე, ჩემო ძიავ ბატონო.

ქობულეთელი სოფლის სამების მცხოვრები გულაი კიკაციშვილი“.

მის კორესპონდენციას მიღებისთანავე აქვეყნებდნენ. ერთხელ ერთი და იგივე წერილი „ივერიამ“

გვიშველე, მამაუფალო!...

ამოისუნთქა უკანასკნელად, მერე მეორე მოემზადა საამისოდ და... მესამესაც, აბა, სხვა რაღა დარჩენოდა, — მიჰყვა მათ!

განა არ აჯობებს, ისევ ჩვენი დღეგრძელობისთვის, მოსაჩვენარ, დიდად ცივილიზებულ ქვეყნის პრესტიჟს არ გამოვეკიდოთ და მაგალითი აფრიკის იმ „უპულტურო“ სვაზილენდისგან ავიღოთ, რომელიც ყოველ რამდენიმე კილომეტრის შუალედზე აფრთხილებს თავისიანებს, ესა და ეს თავზეხელაღებულობით ავტოკატასტროფის მსწვრპლი გახდა, და თუ გინდა სიცოცხლეს არ გამოეთხოვო, შენ მაინც ნუ გაიმეორებ მის სიგლახესო...

მე მგონია, ასეთი შეგონება ჩვენ უფრო გვჭირდება, ჩვენ, რომლებსაც არც ედან-სასუფევლისა გვწამს რამე და არც ელდორადო-სალხინებლისა...

ამას კი ვწერ, ჩემო მკითხველო, მაგრამ ესეც მკითხეთ, მჯერა კი, რომ ჩვენი გამაფრთხილებელი წარწერები, ეგრეთ წოდებული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა თუ ღონისძიებანი, თუნდაც სიტყვა „ტრაგიკულიც“ მოვიშველიოთ, — ესენი გვიხსნიან, ესენი ჩაგვიდებენ ჭკუას იმ უთაურ თავში, რომელი თავითაც ახლა საქართველოში ავტომესაკეთეა სულ ცოტა 80 პროცენტი დანავარდობს და ინავარდებს, სანამ კისერს არ მოიტეხს და სხვებსაც არ მოტეხს?!

ბოლო წლების ცხოვრების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს ფუქი ოცნებაა, და ამ ოცნების გაუფხორცეელებლობას კი საკანონმდებლო ორგანოების ღრმა ძილი უწყობს ხელს და, ცხადია, ისინიც, ვისაც ეს ორგანოები ექვემდებარებიან.

ფაქტი უკომენტაროდ: „...როცა ტრამვაი გაჩერებულია და ხალხი ადი-ჩამოდის, მაშინ ხარა ვარ აქვს უფლება არ დაელოდოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაძვრას. მაგრამ ასე როდი მოიქცა სატვირთო ავტომობილის მძღოლი ქიშვარდ მეომანიშვილი, მან თბილისში დილით ხუთი დეკემბრის ქუჩაზე, სადაც საგზაო ნიშანია — „ფრთხილად — ბავშვები!“ გაჩერებული ტრამვაის ვაგონიდან ხალხის გადმოსვლას არ დაუცადა, სატვირთო ავტომობილის სვლა არც კი შეანელა და ადგილზვე მოკლა ორი მეოთხეკლასელი გოგონა“. (გაზეთი „კომუნისტი“, 28. 11. 82.).

„შავი წიგნის“ პირველ ნაწილში მოვალი, გულისმომკვლელი თავი მივუძღვენი ჩვენი პატარა ქვეყნისათვის აურაცხელ ფათერაკთა მომტან ავტომობილიზაციას; იქ ყველაზე მეტად მთვრალ მძღოლებს მივუზღე საკადრისი, მაგრამ მიაქციეს კი ამას ყურადღება მათ, ვისაც შეეძლოთ ეს უმტკივნეულესი საკითხი — თავის სიმწვავით თითქმის თანაფარდი ამორტმბრობისა — დროულად, თავისი ქვეყნისა და თავისივე ხალხის სასიკეთოდ მოეგვარებინათ?

ეჭვი არ მეპარება, რომ მათ საქართველო და ქართველი ხალხი ჩემზე ნაკლებ არ უყვართ, მაგრამ...

ო, ეს პრესტიჟი და ეს მუნდირი!...

ამა წამოსცდენოდა ეს მათთან დაახლოებულ რომელიმე ლიტერატურულ ღენერალს, და არა ჩემებრ ჭიაღუა ჯარისკაცს.... მაგრამ რა ქნას, როგორ მოიქცეს ეს ჯარისკაცი, თუკი ღენერლები დუმან?! მათგან აიღოს მაგალითი და არ წარმოთქვას გულდასერილმა, — მიიხედ-მოიხედეთ, განა ომისდროინდელ საქართველოში შეგხვედრიათ ამაზე მეტი შავოსანი, რომდენსაც ახლა, 40 წლის შემდეგ, მის არემარეზე ხედავთ?!

(გენერლისა და ჯარისკაცის, ამ ორი დიდად განსხვავებული სამხედრო პირის ხსენებაზე...

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთში დიდად გახმაურა ერთი რომანი, რომლის ავტორის გვარი ვეღარ მომგონებია, სათაური — კი (თარგმნილია რუსულად): „Генералы умирают в постели“.

ძველ საბერძნეთში ერთი პატრიოტი, კოჟლი ახალგაზრდა მთავარსარდალს გამოეცხადა თხოვნით, ბრძოლის ველზე გამიშვითო... უარი უთხრეს, ცალფეხა ხარო.... მაშინ ამ ახალგაზრდამ ასე მოუჭრა: მეგონა, ომში ჯარისკაცი საბრძოლველად გჭირდებოდათ, და არა იმისათვის, მტრის დანახვისას კუდამოძუებულს მოეკურცხლაო...).

„შავი წიგნის“ პირველ ნაწილში უკვე ვწერდი, სხვადასხვა ქვეყანაში დასჯის რა ზომებს მიმართავენ მთვრალი მძღოლების ჭკუაზე მოსაყვანად; იმ „მოძველებულ“ ცნობებს ახლასაც წავამატებ:

ავსტრალიაში მთვრალი მძღოლი ხანგრძლივი პატიმრობით ისჯება, მათს გვარებს — შესარცხვენად! — პრესაშიც აქვეყნებენ.

(სხვათა შორის, კარგი ხანს ასე იქცეოდა „თბილისიც“, მაგრამ შედეგი — შემარცხვენელი! — არავითარი!

ახლა ამ გაზეთმა უფრო „მკაცრ“ ზომას მიმართა: გავაკრათ სამარცხვინო ბოძზეო და... მთვრალი თუ ლოთი მძღოლების სურათების ბეჭდვას მიჰყო ხელი! თანაც როგორის? უყურებ მათ და უნებლიეთ ფიქრი გიპყრობ, პორტრეტები ნიჭიერმა ფოტოხელოვანმა საკოვმა ხომ არ გადაიღოო...

ერთი რომელიმე მაინც ჰგავდეს მოხულიგნო დამნაშავეს! წვერგაპარსულები, თმადავარცხნილები, ზოგი ლეონარდო და ვინჩის ჯიოკონდას გამქირდავი ღიმილითაც კი შემოგვცქერის...

სწორედ რომ საკვირველია: რამდენი ღირსეული ადამიანი ოცნებობს გაზეთში თავისი გამოსახულება იხილოს, და ეს ოცნება — ისიც ზოგიერთს! — ნეკროლოგში თუ აუხდება, ამათ კი, ლოთ ავტომაწოყებლებს... „ბობრძანნაირი ხალხის თავხედ, თავაშვებულ, უტიფარ, წამდარ, უზნეო მძღოლებს ამ სენისაგან ვერავითარი სხვა წამალი ვერ განკურნავს!..

ათასმანეთიანი ჯარიმაც კი! (ახლა „სასვიმჩქო“ ათმანეთიანს ახდევინებენ!).

დასავლეთში, რომლის **ყოფით** კულტურას დღესდღეობით ჩვენ ახლოსაც ვერ გავეკარებით, ოდნავ ნასვამ მძღოლსაც სასტიკად სჯიან, ჩვენთან კი რამდენჯერმე ხელჩავლებულ ლოთსაც კი, სულ დიდი, შეიძლება ჩამოართვან ერთი წლით, თუნდაც, ეთქვათ, სამი-ხუთი წლით მართვის უფლება, და ესეც, ფაქტობრივად, ფორმალურად, აკი იგი ამის მერეც უმოწმობოდაც აღმა-დაღმა, ზოგჯერ კვლავ ნაბახუსევი, თავაღერილი დაეჯენებს თავის „პირის ზიარებას“...

ნორვეგიაში კი ერთხელ, მსუბუქად ნაღვინევი ტახტის მემკვიდრეც არ დაინდეს და როგორც გადაკრულს, საპყრობილეში უკრეს თავი, საქართველოში კი... მართალია, უფლისწულები არა გვყავს, მაგრამ ისეთი „წულები“ და „ბატონიშვილები“ კი თავზე საყრელად მოგვეპოვებიან, რომელთა აღვირახსნილობის ასალგამავად, ისევ და ისევ მათივე სასიცოცხლოდ ღა, საერთოდ, მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ, წლიდან წლამდე მრისხანე კანონს ველოდებით, მაგრამ მის შემოღებას ამდენი ხანია პირი არ უჩანს (მარტო ერთი რესპუბლიკისათვის სპეარატული კანონის მვიცემის უფლებას მოსკოვი არ მოგვცემსო), და თუ ოდესმე შემოიღეს, იმ დროისათვის, ალბათ, ბევრი ჩვენგანის შესანდობელიც კი, მივიწყების გამო, აღარც შეისმება...

თითქოსო არც გაემტყუნებათ, რაკი ჩვენი პრესა იმითაც კია გახარებული, რომ..

„წლეულს რვა თვეში თბილისში მოხდა შარშანდელთან შედარებით ნაკლები — 424 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის დროსაც დაიღუპა 50 და დაშავდა 534 კაცი. ამავე დროის მანძილზე შემთხვევების ადგილიდან გაიქცა, და მიიმალა ათობით მძღოლი, სახელმწიფომაც დიდი ზარალი განიცადა“.

ხედავთ და გესმით? დიდია თურმე სახელმწიფოს ზარალიც! მერედა, რას ფიქრობს სახელმწიფო, ამ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკა, ამ ზარალზე, რომელსაც, ყოველგვარი სხვა ზარალისგან განსხვავებით, ვერაფრით, აბსოლუ

გატაცება

მას არც ხახელოსნო აქვს, არც სხვა რამ განსაკუთრებული ხაშუალება, რომ მომადლებულ ნიჭს გახაჭანი მიხცეს. მისი ხახელოსნო და ხატვის ობიექტი ორივე ერთია — ბუნება. სწორედ ამ უზადო მშვენიერებასთან წილნაყარი ზეიმობს მისი პალიტრა, მისი ხულის დუღილი თუ ბარმონია.

ხახლის კუდლები ხაგზამოფენო დარბაზს ბგავს. კარადებში, ხაწოლს ქვემოთაც აწყვია აკურატულად შეკრული ნახატები.

ფერწერული ტილო, როგორც ხელოვნების სხვა ნიმუში, თავისთავად ფიქრისა და განსჯის, სიხარულისა და წუხილის, ხაერთოდ, „შენიულის“ გამოხატვის უნარია. იგი ხათქმელის ე. ი. დახახატი ობიექტის, მისი ხიყვარულის შედეგია, რომელიც ასევე წარმოუდგენელია ფერის, განცდისა და გრძნობის გარეშე.

მართლაც. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ მხრივ მხატვრის თავისებური ხელწერა. ფერთა ხიუხვე და მთლიანობა, გრძნობის და განცდის ფეერიული ემანაცია ის თავანკარა წყარო, ელექსირივით რომ კვებავს მხატვრის ხულიერ ხამყაროს.

მშვენიერებასთან წილნაყარი

მოძრაობის ხელოვნება, ფერთა წარმოხახვის მკაფიურობასთან ერთად, მეტყველების როლსაც სრულფასოვნად ასრულებს. მხატვარი ხშირად არჩევს ლირიკულ მოტივებს. ზოგ შემთხვევაში ფერთა გამა ერთმანეთთან არაკონტრასტულ დ'ამოკიდებულებაშია. ეს კი ხაერთო ხალბობა და ხითბოს ანიჭებს ხურათს

პეიზაჟურ მოტივებში ზამთრისა და შემოდგომის დრო სჭარბობს. მხატვრის შთაგონების წყარო ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეა, მაგრამ აშკარად იგრძნობა იმერული ლადშაფტებით გატაცება. სწორედ იმერულ მოტივებში ჩანს არა მარტო პეიზაჟური ხედვის გარეგანი აქცენტები, არამედ ავრეთვე ლრმა შინაგანი ლირიკული ასოციაციებიც.

ნამუშევართა დათვალიერებისას მნახველი იმთავითვე გრძნობს ფერთა ხმიერებას, შესრულების ტექნიკის სხვადასხვაობას. მხატვარი თავისთავად ალიქვამს საგანთა როგორც გარეგნულ მშვენიერებას, ისე მათ შინაგან ბუნებასა და ერთიანობას, ანიჭებს მათ დამახასიათებელ ინდივიდუალურ, ინტონაციურ შეფერილობას, მაგალითად, ხურათი „ხუფთა“ ზღვის, ცისა და მზის მოლიკლივე ფერებშია გადაწყვეტილი, „შემოდგომა“ — მშვიდ, იდუმალ, ნაღვლიან ტონებში. ფერთა ეს ცხოველმყოფელი ხამფონია ცვალებად განწყობილებას ქმნის და გზიბლავთ „ზამთარი“, „მარნები“, „ძველი თბილისი“, „ხალამო რიონზე“ და სხვები.

ამ ქმნილებათა ავტორს არც სამხატვრო აკადემია დაუმთავრია და არც ხელოვნების რომელიმე დარგის წარმომადგენელია. იგი მილიციის პოდპოლკოვნიკი გახლავთ.

დიახ, ზაურ მეკავანაძე ჩეკისტია, მაგრამ ხელოვნებით არის გატაცებული. აქვს აგრეთვე წერილები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, სოციალურ თუ ხამართლებრივ საკითხებზე. ერთ-ერთ მის წერილს — „ფერი-ფიქრთა ხავანე“ ლადო გუდიაშვილის გამოხმაურებაზეც კი მოვყავ. აი რას წერს დიდი მხატვარი: „ფერი-ფიქრთა ხავანე“, მიძღვნილი დ. კაკაბაძის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი, ბეშმარიტების ორიგინალური ბეკდითაა აღბეჭდილი... ზ. მეკავანაძეს უთუოდ ახახიათებს გონებახთან შეერთებული ფანტაზია. მახში უთუოდ არის ბეშმარიტების ყლორტები, ხითამამე, გაბედულება, ურომლისოდ, როგორც დიდი გოეთე იტყოდა, წარმოუდგენელია ნიჭი“.

და, ცოტა ქვემოთ:

„ხაბჭოთა ქართველ ჩეკისტს რომ ასეთი ღრმა ინტელექტუალური ნარკვევი დაეწეროს ჩვენი დროის უდიდეს მხატვარ დ. კაკაბაძეზე, ანდა, ხაერთოდ მხატვრობაზე, ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს“.

ეს შეფახება არავის მოეჩვენება გადაჭარბებულად, თუკი ზაურ მეკავანაძის წერილები წაუკითხავს, მახთან უხაუბრია და უკამათია.

ტრადიციულ შეკითხვაზე მხრისი როლი. ეს ფსიქოლოგიური ძიება და მშვენიერების ბვრეტა უფრო მეტად მახედებს ადამიანის ხულში, უფრო მეტად მაყვარებს მას და ხანდახან, ბევრი ჩემი კოლეგა მოთმინებიდან რომ გამოუყვანია დამნაშავის ხიჯიუტეს ან უხამსობას და ძიების ძაფი შეწყვეტია ხელში, ამ მხრივ ჩემი ხელოვნება ყოველთვის მშველოდა. ბატკანი რომ დაუხატო აი, ამახთანა გოგონებსა და ბიჭუნებს,— ბავშვების სურათიხაკენ მიმთითთა და ეგზუპერის. პატარა უფლისწული გაიხსენა, წელებზე ფეხი უნდა დაიდგა, მთელი შენი ცხოვრება სინდისიერების ხადარაჯოზე უნდა იდგე, თორემ მოვა მომავალი, მოგთხოვს დახატვას, შენ კი უფლება არ გექნება.

— ბატკანზე გამახსენდა, — შეკავწყვეტინე თხრობა, — გახსოვს, ზაურ, თბილისში რომ მოვდიოდით? მგონი, გორამდე იყო, ცხვრის ფარა შეფენოდა გზისპირა მდელოს. კუნტრუშობდნენ პატარა ბატკნები, პეტელობდნენ, დედებს ჭიქნებში უბაგუნებდნენ თავებს, ფანჯარაში თავი გაჰყავი და გაეხმაური, გეშინოდეთ მგელზე მეტად ადამიანისა! ამ იუმორს თავის მომხიბლავი ხევდაც ახლავს ადამიანთა გაუმაძღრობაზე და, ზაურ, შენ მგონი რაღაცის დახატვას აპირებდი...

—კი ვაპირებდი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვიცალე. არადა მოფიქრებული მაქვს კარგახანია— პეიზაჟი — იმგვარი იქნება, როგორც შენ ალწერე, ოღონდ რაღაც ჩრდილი შეაწუხებს ამ მხიარულ, მზიან დღეს, მოკუტრუშე ბატკნებსა და მობალახე ცხვრებს. ჩრდილი ტილოზე მკვეთრად არ იქნება გამოხატული. ისეთი შთაბეჭდილება მინდა შევქმნა, ქორი, რომ წიწილებს გადაუფრენს, თუმცა, ეს ჩრდილი მიწიერია და მიწაზევე მოცოცავს მზაკვრულად. მგელს ჩრდილს კი ადამიანის ხახეც ექნება.

ეუფრენ ამ კაცს, უსმენ მის ხაუბარს და თავადაც მაღლდები, მშვენიერებასთან წილნაყარს რომ ხედავ. ვინც ზაურ მეკავანაძის ფერწერაზე წაიკითხა ეურნალ „ხაბჭოთა მილიციელში“, ანდა ქუთაისში სახვითი ხელოვნების გალერეაში მოწყობილ გამოფენებზე ნახა, ადვილად დაგვეთანხმება ამაში.

შემოქმედების მისია კი ერთია — სიკეთისა და მშვენიერების დამკვიდრება ქვეყნად.

და ამ მისიას ზაურ მეკავანაძე ისეთი შთაგონებით ეხახურება, რომ მასზე ალბლია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწყობილ გამოფენაზე ახლახან მიღებული პირველი ხარისხის დიპლომი და ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება. მიხმა ნატურმორტმა „ნიუკეი“ საფრანგეთში მოყვარულ მხატვართა ხაერთაშორისო გამოფენაზე ხაყოველთო მოწონება დაიმსახურა.

ვაჟა თევდორაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

* * *

ხურათებზე: ზაურ მეკავანაძე თავის ნამუშევრებთან; ხატვრის ფერწერული ტილო „ბაგრატის ტაძარი“.

ოთარ ბერეჩიკიძის ფოტო.

დეპეშა ომალოდან

შემწეობას გვთხოვენ

ახლახან მწერალმა გურამ ფანჯიკიძემ რედაქციას შემდეგი შინაარსის წერილით მომართა: „გუშინ თუშეთიდან დეპეშა მივიღე. უმორჩილესად გთხოვთ, უცვლელად გამოაქვეყნოთ. ვფიქრობ, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან უფრო იპოვის იგი ადრესატს“.

საქმე ის არის რომ, მოქალაქე სერგო ხულკაური ომალოდან მშრომელთა ხახელით მწერალს დეპეშით თავის მხრივ შემდეგს ატყობინებდა: „თუშეთი უკვე მრავალი თვეა დარჩენილია ელექტროენერგიის გარეშე ელექტროხაზის სრულიად მცირე დაზიანების გამო. თუშები გთხოვენ შემწეობას ხაქენერგოს წინაშე, თორემ მალე წელიწადი შესრულდება, რაც თუშეთის უნიკალური ელექტრობაზი აღარ გვემსახურება“.

ამახთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი დაუკავშირდა ხაქენერგოს ხელმძღვანელობას და გაიცნო დეპეშის შინაარსი, მით უმეტეს, რომ ამ ხაკვირბოროტო ხაკითხს ადრეც გამოეხმაურა გაზეთი და ხაგანგებო მახალაც გამოაქვეყნა ამის გამო.

ვახტანგ ოყრეშიძემ გვითხრა: თუშეთში მიმდინარეობს ზვავისაგან დაზიანებული ელექტროხაზების აღდგენა-რეკონსტრუქცია. დღეისათვის ელექტრობაზი თორღვის ადგილამდე აღდგენილია. რაც შეეხება მის გაგრძელებაზე განსახორციელებელ ხამუშაოებს, იგი ხაძიებო-ხაპროექტო ხამუშაოთა დამთავრებას ელოდება, რომელიც ორ თვეზე მეტია მიმდინარეობს. სინათლით მოსახლეობის უზრუნველყოფა შედარებით მოწესრიგებულია. ამით მოხახლეობას დიზელის ხადგურებიდან ავტონომიური კვებით აწვდიან ენერგიას. დღისით სინათლე არა აქვთ ზემოთადნიშნული მიზეზის გამო. მდგომარეობის გამოსწორებისათვის ხაქენერგოს მუშაკები ყველაფერს იღონებენ.

სიახლე

კიევი. გამოჩენილი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის სახელი ეწოდა საქართველო-უკრაინის კულტურული ურთიერთობის კიევში დაარსებულ ასოციაციას. საინიციატივო ჯგუფის სხდომაზე მიიღეს წესდების პროექტი, აირჩიეს საკოორდინაციო კომიტეტი. როგორც ასოციაციის თავმჯდომარემ, კიეველმა პოეტმა რაულ ჩილაჩავამ აღნიშნა, ახალი ორგანიზაცია იარსებებს ორი რესპუბლიკის კულტურის ფონდების ეგიდით, ხოლო თავის საქმიანობას მოახმარს ორი ხალხის მხატვრული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების პოპულარიზაციას, უკრაინელ და ქართულ ენებზე ლიტერატურულ ნაწარმოებთა თარგმანებს, რესპუბლიკებში თეატრალური და მხატვრული კოლექტივების გასტროლების ორგანიზაციას. გათვალისწინებულია აგრეთვე გამოიცეს უკრაინულ-ქართული ლექსიკონი და ქართული ენის თვითმასწავლებელი.

(საკდესი).

ხელმოწერა

ორნი თამაშგარე მდგომარეობაში

ამბავი, რომელზეც ქვემოთ გვიქნება საუბარი, ელვის სისწრაფით მოედო სიეტლს. ჯერ როგორც ჭორი, ასე ვთქვათ, შეუმოწმებელი ცნობა, მერე კი... როგორც პატარა დეტექტივი. ქალაქ კენფიკში ჩასვლამდე, სადაც ჰოკეისტთა წინასწარი ტურნირი უნდა გაიმართოს, საბჭოთა ნაკრებმა ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა ამერიკელებთან. პირველი მასპინძლებმა მოიგეს (3:1), ხოლო მეორე — სტუმრებმა (5:3). განსაკუთრებით მძაფრი, შეუპოვარი და უხეში გამოდგა მეორე მატჩი: საბჭოთა ჰოკეისტებმა საჯარიმო სკამზე 87 წუთი გაატარეს, ამერიკელებმა — 63. ასეთ საგანგებო შემთხვევას, და ისიც საერთაშორისო ტურნირში, იშვიათად თუ გაიხსენებს კაცი.

მეორე შეხვედრის შემდეგ, საბჭოთა ნაკრები მთელი შემადგენლობით დაბრუნდა სასტუმროში. ჰოკეისტებმა შხაპი მიიღეს და ვახშმობის თადარიგს შეუდგნენ. ყველა ადგილზე იყო, ცენტრალური თავდამსხმელის სერგეი ფიოდოროვის გარდა, რომელიც ვახშმად არ მივიდა. არავის უნახავს ფიოდოროვი იმ დღეს, არც მეორე დღეს...

ადგილობრივი ეურნალისტები ვარაუდობენ, რომ საბჭოთა ჰოკეისტმა „აშშ-ში დარჩენა გადაწყვიტა, მაგრამ ამ ვერსიას არავინ ადასტურებს ოფიციალურად. ახლა ამბობენ, „დეტროიტ რედ უინგზის“ პროფესიულ კლუბს ფიოდოროვთან კონტაქტის დადება სურდაო, ამერიკელ სპეციალისტებს ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატზე დაუდგამთ თვალი ფიოდოროვისთვის.

დეტროიტის კლუბისა და პროფესიული ჰოკეის ხელმძღვანელებს არავითარი განცხადება არ გაუკეთებიათ ამ ინციდენტის გამო. არც ამერიკის საიმიგრაციო სამსახურია საქმის კურსში. თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ბობ უოლში სპეციალური პრესკონფერენციის გამართვას აპირებს ამასთან დაკავშირებით, ოღონდ ჯერ თვით ფიოდოროვის ასავალ-დასავალი უნდა გაიგონ. ამ საქმემ საკმაოდ უსიამოვნო ელფერი მიიღო. გაზეთების აზრით, საბჭოთა ფორვარდი სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა „თამაშგარე მდგომარეობაში“.

ამ დღეს კიდევ ერთი თამაშგარე მდგომარეობა დაფიქსირდა, მაგრამ ეს უკვე წმინდა სპორტული შემთხვევა იყო და, ცხადია, არც პოლიტიკური აქიოტაჟი მოჰყოლია. თავისებური ეპილოგი ამ დრამატიულ ამბავსაც აქვს:

კეთილი ნების. თამაშებში სახელოვანი ამერიკელი მძლეოსნის, ოლიმპიური ასპარეზობის ექვსგზის ჩემპიონის კარლ ლუისის მონაწილეობა დიდხანს იყო საეჭვო: ლუისსა და მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელობას უთანხმოება მოუვიდათ. მაგრამ საქმეში ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ბობ უოლში ჩაერია და „ჰირვეულ“ სპორსტმენთან საერთო ენაც გამონახა. ავყიანი ამბობენ, ორგანიზატორებს ეს გარიგება საკმაოდ ძვირი დაუჯდათო. მაგრამ ეს ხომ მათი პირადი საქმეა, ბოლოს და ბოლოს. მთავარი თვით კარლ ლუისის მონაწილეობაა.

ოლიმპიური ჩემპიონი უკვე 29 წლისაა და თავის ავტორიტეტსაც უფრთხილდება. მას, სხვათა შორის, დამარცხების უფლება არა აქვს და ასე, რომ გაგრძელოს კარიერა, აღარაფერი შერჩება ძველი დიდებისა და სახელის მეტი.

100 მეტრზე რბენაში ლიდერად 23 წლის ამერიკელი ლერი ბარელი ითვლება (საუკეთესო შედეგი — 9,96). ლუისი და მისი ეს ახალგაზრდა კონკურენტი ზედმიწევნით კარგად იცნობენ ერთმანეთს: ორივე ჰიუსტონში ცხოვრობს, ერთი კლუბის წევრია და მწვრთნელიც ერთი ჰყავთ — ტომ ტელეზი. ამ და სხვა მიზეზთა გამო, სპორტსმენები უაღრესი პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს. მათ შეხვედრას ყველა მოუთმენლად ელოდა. ზოგი, ცხადია, უპირატესობას ახალგაზრდა სპორტსმენს ანიჭებდა, მაგრამ... უმრავლესობას მაინც ოლიმპიური ჩემპიონისა სჯეროდა (სხვათა შორის, ლუისის სასარგებლოდაა მათი პირადი შეხვედრების ანგარიშიც). მაგრამ მხოლოდ მწვრთნელმა უწყოდა, რომ ლუისმა ჯერ ვერ მიიღწია თავისი ფორმის პიკს, ბარელი კი ყველაფრისათვის მზად იყო.

წინასწარ პრესკონფერენციაზე ოლიმპიურ ჩემპიონს უმთავრესად ბენ ჯონსონთან მომავალ შეხვედრაზე ეკითხებოდნენ (დოპინგის მიღებაში მხილებულ კანადელს სეკტემბერში უმთავრდება დისკვალიფიკაციის ვადა). სპონსორებმა მეტოქეებს ფანტასტიკური პრემია დაუნიშნეს — 10 მილიონი დოლარი. ლუისი არ არის ამ შეხვედრის წინააღმდეგი, მაგრამ მან რამდენიმე პირობა წამოაყენა, რომელთა შესრულებასაც კატეგორიულად მოითხოვს. ეს ორ-თაბრძოლა, ოლიმპიური ჩემპიონის აზრით, რომელმე საერთაშორისო შეჯიბრებაზე უნდა შედგეს. ამასთან, ორივემ უმკაცრესი დოპინგ-კონტროლი უნდა გაიაროს. ლუისი პატიოსანი ბრძოლის მოსურნეა, რაშიც მთელი საზოგადოებრიობა უეჭერს მხარს.

...სიეტლში კი, ლუის-ბარელის ორთაბრძოლა მძლეოსნური პროგრამის გვირგვინად იქცა. სამწუხაროდ, სპრინტერთა შეჯიბრება მხოლოდ რამდენიმე წამს გრძელდება და, მოლოდინიც ასევე ხანმოკლეა — 10 წამი მთელი ეპოქაა სპრინტერთა ურთიერთობაში. ამ უმცირეს დროში უნდა მოხდეს ყველაფერი — ვინაც ალიზევება და ვინაც ალი...

ეს გარბენი ლეროი ბარელმა მოიგო — 10.05 წამი. ოლიმპიური ჩემპიონი ამჯერად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა — 10.08; მაგრამ მას ეყო ვაჟკაცობა პირველს მიეღოცა გამარჯვება და სპასტანო წრეც მასთან ერთად შეიმირბინა. ასე იქცევიან დიდ სპორტსმენები, კარლ ლუისზე ალმატებული მძლეოსანი კი, მართლაც რომ, თითებზეა ჩამოსათვლელი...

გურამ ნადარაია.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ზაფხული...

ალექსანდრე ხააკოვის ფოტო.

აშენდება ერთობლივად

გათუმი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). თურქეთის ფირმა „სოაკის“ ხელმძღვანელობასა და აჭარა-კოოპკავშირის გამგეობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება. იგი ითვალისწინებს ბათუმში 17-სართულიანი, 576-ადგილიანი მაღალი კლასის სასტუმროს მშენებლობას.

ახლახან პროექტის გასაცნობად, აგრეთვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების მოსაგვარებლად თურქეთიდან ბათუმს ჩამოვიდა ფირმა „სოაკის“ მთავარი ინჟინერი მეჰმედ ოქტაი ეოზურბაში.

სასტუმროს მშენებლობა წელს დაიწყება და სამ წელიწადს გასტანს.

წიგნის თარო

საინტერესო ნაშრომი

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. გაბიანმა მკითხველს შესთავაზა მონოგრაფია სათაურით „ნარკომანია და ნარკომანები“. წიგნში გაშუქებულია ჩვენს რესპუბლიკაში ნარკოტიზმის პრობლემის მეცნიერული ,ვალევის მიმდინარეობა, მოთხრობილია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ქართველი ექიმებისა და იურისტების დიდ გამოცდილებაზე.

ნაშრომს ერთვის მეცნიერი იურისტის, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის ა. იაკოვლევის შესავალი წერილი, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი სწავლულის ნაყოფიერ შრომას.

ძმები კვლავ შევიყარენით!

ძღვნად ლაზ ფეხბურთელებს

თავზემოთ ძალა არ არი,
ძალა რომ იყოს თავზემოთ,
ჩვენ ერთ ქირს უნდა
ვქირობდეთ,
ერთ ლხინს ვლხინობდეთ
ლაზებო!

სულს უნდა ვლევდეთ
ერთურთზე,
ვით ჩანგის ლარი ლარზეო—
როგორც ოდესაც, ეგეთ კვლავ
ის დრო გველირსოს ლაზებო!

ოცნებაბუმბერაზები
და ნატვრაბუმბერაზები, —
საუკუნობით ერთურთის
კვნესა არ გვესმის, ლაზებო!

ასობით წელი მტრის ხელით
მოძმის კარდანარაზები —
ერთი ბედ-უბედობისგან
მოვედინებით ლაზებო!

ძმები კვლავ შევიყარენით,
ერთურთს შეასდით თასებო!
ამ იმედს ჩვენი ჯიშვითი
მარად ეცოცხლოს ლაზებო!

ეს დღეს არ არის, თორემ
ხვალ
ძალა იქნება თავზემოთ
და ჩვენ კვლავ ერთ ქირს
ვიქირებთ,
და ერთ ლხინს ვილხენთ,
ლაზებო!

ტაგუ მებურიშვილი.





ვარლამ გენგიურის ფოტო.

ანგარიში? არა, უფრო მეტი!

საქართველოსკენ მომავალ გზაზე უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ. საზღვარზეც, იმის გამო, რომ ვიღაც გულგრილმა ჩინოვნიკმა საბუთების გაფორმება დაუგვიანათ, სამი დღე-ღამე გაატარეს მოლოდინში. მაინც გაიტანეს თავისი — კეთილ სტუმრებად მოვიდნენ. მიწა-წყალზე, სადაც, თუ სამართალია, სტუმრებად არც კი უნდა ითვლებოდნენ.

რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ მაინც „რიზესპორის“ (თურქეთი) ფეხბურთელთა გუნდმა, თითქმის მთლიანად ლაზთაგან შემდგარმა, საქართველოს გულამდე ჩამოაღწია. სამართალმა მაინც ჭამა პური და ფეხბურთელებმა ნატვრა აისრულეს.

პირველი ამხანაგური შეხვედრა სტუმრებს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების საფეხბურთო კლუბის გუნდთან — „მგლებთან“ ჰქონდათ, წლეულს, მოისმა რომ შეიქმნა და მაშინვე საერთაშორისო ფერხულში მოუხდა ჩაბმა. ასეთ დროს შედეგს ნაკლები მნიშვნელობა აქვს (სტუმრებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0), აქ უფრო მთავარი ქართულ ეროვნულ ფეხბურთთან პირველი კონტაქტია.

ისინი ერთხანს კიდევ დარჩებიან ჩვენთან, კახეთსაც ეწვევიან, გურიასაც, ბათუმსაც და... დარწმუნებული ვართ, დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდებიან შინ.

ნოდარ მიშველაძე.

წარმატებულად რომ გაგრძელდეს

საქართველოში შიდამიგრაციული პროცესები მკვეთრად დაარჩარა ჩვენს მოიანეობა წარმოქმნილმა სტიქიურმა მოვლენებმა. ათასობით ოჯახი იძულებულია მიატოვოს მამაპაპური კარმიდამო და სხვა უსაფრთხო ადგილზე დაიდოს ბინა.

ასევე, რთული პრობლემაა საქართველოს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა ბედი, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, მოითხოვენ საბრუნავლოში დაბრუნებას.

ასეთმა მდგომარეობამ ბუნებრივად დასვა საკითხი დაწყებულიყო გამოთავისუფლებული ბინების შესყიდვა, რათა ამ გზით დაგვიჩარებინა სტიქიით დაზარალებული და ხელმოკლე ოჯახების უსაფრთხო ადგილზე დამკვიდრება.

ამ მიზნით რუსთაველის საზოგადოებამ, ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან შეგროვილი თანხით, მთავრე წარმომადგენლებთან ერთად, ქვემო ქართლში შეიძინა რამდენიმე სახლი, მაგრამ მიგრაციის სწრაფმა ტემპმა საჭირო გახადა შექმნილიყო სპეციალური ანგარიში, რაც რუსთაველის საზოგადოების ინიციატივით დაიწყო და სახალხო ფრონტისა და საზოგადოებრიობის მხარდაჭერით საქართველოს მინისტრთა საბჭომ დადებითად გადაწყვიტა.

შარშანდელი ივნისიდან დღემდე, ქვემო ქართლში, ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან, რუსთაველის საზოგადოების თხოვნით, გადაირიცხა 16.778.054 მანეთი, ხოლო რუსთაველის საზოგადოების, სახალხო ფრონტის და საზოგადოებრიობის თხოვნით მინისტრთა საბჭომ და ფინანსთა სამინისტრომ 80.000.000 მანეთი გადარიცხეს აღნიშნულ რეგიონში. სულ შეგროდა 46.778.054 მანეთი.

ამ თანხით შესყიდულია 1425, ხოლო შესყიდვის პროცესშია ათასამდე სახლი, რასაც აღნიშნული თანხიდან დარჩენილი 8.567.640 მანეთი არ ჰყოფნის და კვლავ დიდი თანხებია საჭირო.

რუსთაველის საზოგადოება მადლობას უხდის ყველა იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებს, აგრეთვე მინისტრთა საბჭოს და ფინანსთა სამინისტროს, ამ საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის.

საზოგადოებას განზრახული აქვს უახლოეს ხანს ჩაატაროს საზოგადოებრიობას სრული, დაწვრილებითი ანგარიში გაწეულ მუშაობაზე, რაც წინასწარ გეცნობებათ მახობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

ჩვენი რეკვიზიტებია: თბილისი. საქართველოს კომერციული ბანკი „ივერთბანკი“. მრწყმშენბანკის საოპერაციო სამმართველო 000 16 1700. 700026

კოდი — 52 1921, მიგრაციის ფონდისათვის.

რუსთაველის საზოგადოება.

ტელევიზია — ხუთშაბათი, 26 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 11.35 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი. „ალიონკა“. 13.00 — ნაშუადღევს. 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 — მულტიპლიკაციური ფილმი. 16.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები. „ნინიკო“ და „მე და ჩემი ნაბადი“. 16.35 — მოსწავლეთათვის. „უფროსი მეგობრები გვიყვარან“. 17.25 — კეთილი ნების ასპარეზობა. 18.25 — განცხადებები. 18.30 — ახალგაზრდობისათვის. „ინტერვიუ-ანკეტა“. 19.05 — კონცერტი „შეხვედრა ნინო ქათამაძესთან“. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომა. 21.00 — „ვრემია“. 21.40 — „ოქროს საწმისი-90“. 23.00 — „სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ“. ლ. ბაქრაძის დოკუმენტური ფილმები „იჩქარეთ გააკეთოთ სიკეთე“ და „შემართება“.

მეორე პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „ორი ოკეანის საიდუმლოება“. 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „სადკო“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 6.30 — „120 წუთი“. 8.35 — მულტფილმი. 9.20 — „მშვენიერება იხსნის მსოფლიოს“. მუსიკის ფესტივალი „არტეკში“. 10.00 — დოკუმენტური ფილმი. 10.20 — „ელადიმერ ვისოცკი. მონოლოგი“. 11.20 — ბავშვის საათი. 12.20 — კოლაჟი. 12.30, 18.30 — „ვრემია“. 15.30 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 15.45 — „ჩვენ გვატარებდა ახალგაზრდობა“. მხატვრული ტელეფილმი. III სერია. 16.50 — კუბის ეროვნული დღესასწაულის — ეროვნული აჯანყების დღისათვის. კინოპროგრამა „ეს კუბაა“. 17.25 — მულტფილმი. 17.40 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 19.00 — კეთილი ნების ასპარეზობა. მძლეოსნობა. 21.00 — „ვრემია“. 21.40 — აქტუალური ინტერვიუ. 21.50 — „ბენონი და როზა“. მხატვრული ტელეფილმი. V სერია. 22.50 — საფეხურები. 0.35 — „ხუმრობით და სერიოზულად“. მღერიან ი. პოპლავსკაია, ა. ტიხონოვიჩი და ჯგუფი „ბედნიერი შემთხვევა“. 0.40 — ახალი ამბებიწ სატელევიზიო სამსახური.

მეორე პროგრამა. 8.00 — — დილის ვარჯიში. 8.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 8.45 — ფილმ-კონცერტი. 9.15 — „დაკარგული განძის ძიებაში“. მხატვრული ტელეფილმი. I სერია. 19.20 — მულტფილმი. 10.55 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „ეს ყველაფერი მასზეა“. მესამე და მეოთხე სერიები. 13.05 — „თოჯინების თეატრის სამყარო“. მესამე გადაცემა. 16.55 — რიტმული ტანვარჯიში. 17.25 — კეთილი ნების ასპარეზობა. წყალბურთი. სსრკ ნაკრები — აშშ ნაკრები. 18.25 — კოლაჟი. 18.30 — „ვრემია“. 19.00 — ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოებთა ეკრანიზაცია „მკვდარი სულები“. მხატვრული ტელეფილმი. IV სერია. 20.20 — „აზიის ხმა“. 20.2[illegible] — „ძილი ნებისა, პატარებო“. [illegible] 21.00 — დოკუმენტური ფილმ[illegible] პრემიერა. 21.30 — კეთილი ნ[illegible] ბის ასპარეზობა. კალათბურთ[illegible] ვაჟები. ფრენბურთი. ქალებ[illegible] ნახეგავრფინალი. 23.00 — „სამ[illegible] ყარო, რომელშიც ვცხოვრობთ[illegible] რეჟისორ ლ. ბაქრაძის ფილმ[illegible] ბი.

გასწორება

„კომუნისტის“ 25 ივლისის ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში „კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის“ (მესამე სვეტის ბოლო აბზაცში) ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით დაშვებულია შეცდომა. კერძოდ, მეორე წინადადება უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: თუ გამოვლენილი შემთხვევებით ვიმსჯელებთ, წელს რეპუბლიკაში დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევათა რიცხვი 6 ერთეულით შემცირებულა — შემდეგ, როგორც ტექსტშია.

რედაქტორი
მინდია უბარელიძე.